პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 64 (19506) ◆ ხუთშაბათი, 13 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პირველ რიგში განსახორციელებელ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა საკითხი. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს დაეკალთ გეგმაზომიერად, სისტემატურად და საფუძვლიანად იმუშაონ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, გააცნონ ყრილობის დოკუმენტები თითოეულ მშრომელს, ამასთან ხელი შეუწყონ მასების საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის შემდგომ ზრდას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებს 1986 წლის დავალებების, მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მიმდინარე ორგანიზატორულსა და პოლიტიკურ მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უფრო ფართოდ უნდა ჩაებან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სახალხო კონტროლის ორგანოები, რესპუბლიკის იდეოლოგიური ინსტიტუტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

იმსჯელეს იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკითხზე, რომელიც უნდა განხორციელდეს სკოლისათვის საყოველთაო მზრუნველობის ხუთწლიულად მეთორმეტე ხუთწლედის გამოცხადების შესახებ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დებულების შესასრულებლად. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მწვავე, პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკაში მიმდინარე წლის თებერვალში მომხდარი საშმლით მოწამლის ფაქტებს. აღინიშნა, რომ ეს ფაქტები შედეგად მოჰყვა სასურსათო პროდუქტების საწარმოებში წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიის უხეშ დარღვევებს, ნაწარმის მომზადების ანტისანიტარიულ პირობებს, მისი რეალიზაციის ვადების დაუცველობას, კვების ობიექტების მუშაკებისადმი არადამაკმაყოფილებელ სამედიცინო და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ კონტროლს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო ეწევა სასურსათო პროდუქტების წარმოების სფეროში სამედიცინო და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ კონტროლის უზრუნველსაყოფად, და მინისტრს, სკკპ წევრს ამხ. გ. ლეჟავას გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თ. ჭყონია გაირიცხა სკკპ რიგებიდან და მოიხსნა თანამდებობიდან იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საქმიანობის სათანადო დონე, არ მიიღო ამომწურავი ზომები ამ საქმეში ყოველად უხეში დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გაერთვე ბინის გაცვლისას დაუშვა მოქმედება, რომელიც კომუნისტს არ შეშვენის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაითვალისწინა, რომ რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, სკკპ წევრი ამხ. გ. ქერაშვილი ამ თანამდებობაზე ცოტა ხანია მუშაობს, და კვების საწარმოების მუშაკთა პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმების კომისიების საქმიანობაში ყოველად უხეში დარღვევებისა და ნაკლოვანებების, კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რის შედეგადაც არის სამედიცინო გასინჯვის ფორმალური მოწყობის, ფულის შეწერისა და მექრთამეობის ფაქტები, ადამიანთა მოწამვლის შემთხვევები, აკმარა საყვედურის გამოცხადებაზე სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს სსრ პურეული პროდუქტების მინისტრის მოადგილეს, სკკპ წევრს ამხ. შ. ლუხუტაშვილს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით იმის გამო, რომ არ მიიღო სათანადო ზომები დისციპლინის განსამტკიცებლად, დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად, დაუშვა სერიოზული ნაკლოვანებანი პურსაცხობი და საკონდიტრო მრეწველობის საწარმოებში სანიტარიულ-ჰიგიენური და ტექნოლოგიური ნორმების დაცვისადმი საუწყებო კონტროლის ორგანიზაციის საქმეში.

ცნობად არის მიღებული, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსს ამხ. გ. აბესაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

რესპუბლიკის პურეული პროდუქტების სამინისტროსა და სახაგრომრეწვის უყრადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს მომთხოვნელობა საკონდიტრო მრეწველობის საწარმოო-გაერთიანებათა ხელმძღვანელების მიმართ დატაცების, ტექნოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, კადრების შერჩევა-განაწილების მდგომარეობის, გარანტირებული ხარისხის პროდუქციის გამოშვების, წარმოებიდან მოძველებულ სახეობათა ნაწარმის მოხსნის უზრუნველყოფისათვის.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და თბილისის საქალაქო აღმასკომს მიეთითათ, რომ პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა შეასუსტეს მუშაობა რესპუბლიკის დედაქალაქში, კერძოდ, სასურსათო პროდუქტების წარმოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი 1986-1990 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში განლაგებული ფერადი მეტალურგიის საწარმოების სანედლეულო ბაზის განვითარებისა და ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის საწარმოთა სამრეწველო პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების 1986-1990 წლების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის დამტკიცებისა და ტექნიკური დონისადმი კონტროლის გაძლიერების თაობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა გაზეთ „ხარაი ვოსტოკაში“ დაბეჭდილი სტატია „სამი გაჩერება ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე“, რომელშიც სწორად, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით არის აღძრული საკითხი, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ მოსკოვის ღირსსახსოვარ ადგილებს, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

დასახელია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალის — „მოსკოვის XVII-XIX საუკუნეების ქართველთა დასახლების ისტორიის“ სახლ-მემორიალის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, მის გადაქცევას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის ჭეშმარიტ სამეცნიერო ცენტრად, ხალხთა მეგობრობის პროპაგანდის, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის, განსაკუთრებით მოსკოველ ქართველი ახალგაზრდობისა და სტუდენტობის აღზრდის კერად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.



ესტაფეტა საიმედო ხელშია



თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი კარგი მაჩვენებლებით შეხვდა სკკპ XXVII ყრილობას. აქ სახელმწიფო დავალებანი უკვე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ გადაჭარბებით სრულდება.

ახლა საწარმოში ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული ღონისძიება. მუშავდება უახლესი ტექნოლოგიური ციკლი, დაინერგება დიდმწარმოებლური უნივერსალური და პროგრამული მარვის ჩარხები, რობოტიზებული ნაკადური ხაზები, მექანიზაცია-ავტომატიზაციის საშუალებანი, რამაც პრაქტიკულად მთლიანად უნდა აღმოფხვრას ხელის შრომა. ერთი სიტყვით, „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმო მეორედ იბადება.

შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა ასობით ელმავალმშენებელი.

სურათებზე: 80 წელიწადს იმუშავა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქროში ჯემალ ამაშაძემ და ახლახან გავიდა პენსიაზე, თუმცა, ვიდრე პენსიაზე გავიდოდა, საამქროში თავისი ვაჟი გიორგი მოიყვანა და გამოაწრთო. დღეს გიორგი ამაშაძე, სკკპ წევრობის კანდიდატი საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო ზეინკალია, შრომითი ესტაფეტა საიმედო ხელშია; ექსპერიმენტული საამქროს მოწინავე ელექტროშემდუღებელი კომკავშირელი მურაზ ჯოიეი (მარცხნივ) და ამწყობი ზეინკალი, სკკპ წევრი გიორგი ყელაურიძე; № 1 საამწყობო საამქროს ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი გივი ბარაბაძე.

ა. საკაკოვის ფოტო.

მშვიდობის სტრატეგია

ლენინური პარტიის საერთაშორისო ავტორიტეტი. იზრდება პლანეტაზე ნდობა მისი მშვიდობის სტრატეგიისადმი. მტკიცდება ხალხთა უომო და უიარაღო მომავლის იმედები. ყოველივე ეს სარკესავით აირეკლა საზღვარგარეთიდან მიღებულ გამოხმაურებებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გამო.

ხალხებმა ყრილობა აღიქვეს ისტორიულ მოვლენად. საერთაშორისო საზოგადოებრიობის გონებაგანწყობილებაში ღრმა კვალი გაავლო ყრილობამ, სადაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ. უსაფრთხო მშვიდობის შექმნის ფილოსოფია შეეხამება კაცობრიობის მისწრაფებებს. ყრილობის მიერ წამოყენებული კონკრეტული მოქმედების პლატფორმა შთაგონებს კეთილი ნების ადამიანებს. საბჭოთა კომუნისტების ფორუმის იდეები და გადაწყვეტილებანი სახავენ მნიშვნელოვან ნიშანსვეტებს საერთაშორისო განვითარების თანამედროვე გარდამტეხ ეტაპზე. ისინი ბევრად განსაზღვრავენ ქვეყნად მსოფლიო პოლიტიკის შინაარსსა და საქმის მიმდინარეობას მიმავალი საუკუნის დამლევსა და მომავალი საუკუნის დამდეგს.

„ყრილობამ კვლავ ცხადყო სოციალიზმისა და მშვიდობის, მშვიდობისა და ადამიანებლობის გაუყრელობა, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. — სოციალიზმი თავის ისტორიულ მისიას ვერ შეასრულებდა, სათავეში რომ არ ჩასდგომოდა ბრძოლას, რომლის მიზანია ომსის კაცობრიობას ომის ვაებისა და ძალადობის ტვირთი. საბჭოთა პოლიტიკის მთავარი მიზანია დაუმკვიდროს მთელ ხალხებს ამ ქვეყანაზე უშიშროება და სამართლიანობა“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნები და მიმართულებანი დასახულებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ყრილობისადმი. მის საერთაშორისო თავებს წიაღილ ზოლად გასდევს რეალისტური ნოვატორობის სულისკვეთება, პასუხისმგებლური მიდგომა ომისა და მშვიდობის პრობლემებისადმი, თვისებრივად ახალ გადაწყვეტათა ძიება. ყრილობამ მოიწონა პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გენერალური ვეზი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ვეზი. ყველა მისი პრინციპული დებულება შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში.

ყრილობის დოკუმენტებში დასახულია მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის მუშაობის კონკრეტული პროგრამა. მას საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიო განვითარების ყველა ფაქტორის კომპლექსური ანალიზი. გამოტანილია დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრინციპული დასკვნები, რომლებიც გვაიარაღებენ იმის მკაფიო გაგებით, რომ მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის პოლიტიკას ალტერნატივა არა აქვს.

საერთაშორისო ასპარეზზე შეიქმნა ახალი ობიექტური პირობები. ახლა ვეღარავინ დაიცავს თავს, რაც უნდა მძლავრი თავდაცვა შექმნას. შეუძლებელია არათუ ბირთვული ომის, არამედ გამალებული შეიარაღების მოგებაც. უშიშროების უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად წარმოგვიდგება როგორც პოლიტიკური ამოცანა, და იგი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით. ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მეტოქეობის ფორმებით.

ამის გათვალისწინებით, სკკპ XXVII ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა თანამიმდევრულად, გეგმაზომიერად და ბეჯითად იღვაწოს საერთაშორისო უშიშროების პრობლემათა გადასაწყვეტად. მან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას მიზნად დაუსახა განუხრელად ადგეს მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს, ჩვენი პრინციპებისა და პოზიციების მტკიცედ დაცვას უხამდეს ტაქტიკურ მოქნილობას, მზადყოფნას ურთიერთმისაღები კომპრომისებისათვის, დიალოგისა და ურთიერთგაგების გზების ძიებისათვის. ყრილობა, ნათქვამია მის რეზოლუციაში პოლიტიკური მოხსენების გამო, ხაზს უსვამს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავააქტიუროთ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ყველა მშვიდმოყვარეთა, ვეძებოთ დაძაბულობის კერების სამართლიანი მოწესრიგების, ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური, ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების გზები.

ბირთვული საფრთხის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა კვლავაც რჩება საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის საქმიანობის მაგისტრალურ მიმართულებად. ამ ფარგლებში სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური მიმართულება, იქნება ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის 15 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებული პროგრამის რეალიზაციისათვის. მას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თუ ეტაპობრივი გეგმა განხორციელდება, კაცობრიობა XXI საუკუნეს შეხვდება ბირთვული იარაღის, თვითმფრინავის საფრთხის გარეშე.

არ არის ისეთი იარაღი, რომლის შეზღუდვისა თუ აკრძალვისათვის მზად არ იყოს სსრ კავშირი ნაცვალგების საფუძველზე ქმედითი კონტროლის გამოყენებით. განსაკუთრებით საჭიროა ახლა, სანამ გვიან არ არის, ყრუდ დავაზღვოთ კოსმოსში იარაღის განლაგების კარი. ხალხები მოითხოვენ რეალურ პროგრესს ბირთვული პოტენციალების შემცირების საქმეში. ამ მიმართულებით დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი შეიძლება გახდეს ბირთვული გამოცდების შეწყვეტა და საშუალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაცია ევროპის ზონაში, ახლოვდება პეშაორიტების მომენტი. დასავლეთის პოლიტიკოსებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას: მზად არიან თუ არა ისინი საერთოდ შეეცალონ ბირთვულ იარაღს? მზად არიან თუ არა ისინი კონკრეტული ღონისძიებებისათვის, პრაქტიკული მოქმედებისათვის, იმის თაობაზე რეალური მორიგებებისათვის, თუ როგორ ალაგმონ გამალებული შეიარაღება? სსრ კავშირი ამისათვის მზად არის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროპული მიმართულებაა. ევროპის ისტორიული პერსპექტივებია მშვიდობიანი თანაშრომლობა, დაძაბულობის შენელების გამოცდილების გამოყენება, განვითარება და გამდიდრება. საიმედო უშიშროება შესაძლებელია პელსინკის პროცესის, ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების რადიკალური შემცირების ბაზაზე. იზრდება ანბისა და წყნარი ოკეანის მიმართულების მნიშვნელობა. აქ საჭიროა საკუთარ გადაწყვეტილებათა ძიება მშვიდობის საქმის სტაბილურობის ინტერესებისათვის. კონფლიქტური სიტუაციების გადაუდებელ მოწესრიგებას ელის პლანეტის ბევრი ბომბარი წერტილი.

სკკპ XXVII ყრილობამ ცხოვრების საგნური მისცა ახალ დიდ იდეას — საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას. ჩამოყალიბებულია მისი პრინციპული საფუძვლები. მათ ყოველმხრივი, კომპლექსური, ნოვატორული ხასიათი აქვთ. ერთიანი სახით პირველად წარმოჩნდა უშიშროების თანამედროვე ცნების ყველა ასპექტი — მისი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული დარგები.

სამხედრო დარგში საფუძვლები თავალისწინებენ, კერძოდ, იმას, რომ ბირთვულმა სახელმწიფოებმა უარი თქვან ერთმანეთის წინააღმდეგ ან მესამე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომზე — როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ ომზე; არ დაუშვან გამალებული შეიარაღება კოსმოსში, შეწყვიტონ ყველა სახეობის ბირთვული იარაღის გამოცდა და მთლიანად მოსპონ იგი, აკრძალონ ქიმიური იარაღის გამოყენება და ა. შ.

პოლიტიკურ დარგში ფუნდამენტურ პრინციპებს განეკუთვნება საერთაშორისო პრაქტიკაში თითოეული ხალხის იმ უფლების უფუო პატივისცემა, რომ სუვერენულად აირჩიოს თავისი განვითარების გზა და ფორმები; სახელმწიფოთა ნდობის განმტკიცების ღონისძიებანი, გარედან მათზე თავდასხმელობის ქმედითი გარანტიები, საზღვრების ხელშეუხებლობა; საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილების ეფექტიანი მეთოდების გამომუშავება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური უშიშროების საფუძვლებს. ეს არის უარის თქმა ყოველ დისკრიმინაციაზე, ბლოკადასა და სანქციაზე; დავალიანების პრობლემის სამართლიანი მოწესრიგება; ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესების დამყარება, და სხვა ღონისძიებანი. ჰუმანიტარული დარგი გულისხმობს ობიექტურ ინფორმირებას, ხალხებისათვის ერთმანეთის ცხოვრების გაცნობას; მათ შორის ურთიერთგაგებისა და თანხმობის სულისკვეთების განმტკიცებას, გენოციდის, აპარტეიდის, ფაშიზმისა და ყოველგვარი სხვა რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური განსაკუთრებულობის ქადაგების აღმოფხვრას, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვან მიზნებს.

„საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის საფუძვლები“ ახალი სიტყვაა მსოფლიო პოლიტიკაში. ისინი ფართო ასპარეზს უსახავენ ყველა მთავრობის, პარტიის საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის კონსტრუქციულ საქმიანობას, რომლებიც ქვეყნად მშვიდობის ბედით არიან შეშფოთებულნი. იქმნება ფარგლებიც მსოფლიო გაერთიანების ქვეყნების ხელმძღვანელთა უშუალო, სისტემური დიალოგის, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი დიალოგისათვის. იგი განსაკუთრებით საჭიროა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს — ხუთ ბირთვულ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის განმტკიცებისათვის.

როცა ვაყენებთ ნოვატორულ იდეებს, პრინციპებს, გეგმებსა და წინადადებებს, რომელთა მიზანია ხალხთა უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა, არ ვეძლევით ილუზიებს, თვალს არ ვარიდებთ მსოფლიოში არსებულ საშიშ ვითარებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე შეცადინეობის შედეგებით იქმნება მისი გაჯანსაღების წანამძღვრები. მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდია შემობრუნება უკეთესობისაკენ. იმპერიალიზმის მილიტარისტული, აგრესიული ძალები ცდილობენ გაჯინონ, გაამარადინონ კონფრონტაცია, გააძლიერონ გამალებული შეიარაღება. მაგრამ ახლა არსებობს ამ ხაშიში პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი საშუალება — მშვიდობის, გონებისა და კეთილი ნების უდიდესი პოტენციალი.

ომის საფრთხისათვის წინააღმდეგობის გაწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოციალიზმის სისტემა. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ მუშაობას აქტიურად უმერენ მზარს სოციალისტური თანამეგობრობის მომავ ქვეყნები, რომლებიც ადგანან შეიარაღებულ პოლიტიკას საერთაშორისო ასპარეზზე. ხალხთა უშიშროებას იცავენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ძალები, მძლავრი ომის საწინააღმდეგო მოძრაობა.

ომის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა ლენინური პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის არსია. ახეთ პოლიტიკას მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი, სიმპატიით ეკიდება მრავალი მილიონი ადამიანი საზღვარგარეთ. მისი რეალიზაცია დიდ გარჯასა და მეცადინეობას მოითხოვს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ: მომავალი მას ეკუთვნის.

დავხვეწოთ მანქანათა სისტემა

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში აღნიშნულია: „პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში მუდამ იქნება პროდუქციის ტექნიკური დონის და ხარისხის ყოველნაირად ამაღლება. საბჭოთა პროდუქცია უნდა განასახიერებდეს მეცნიერული აზროვნების უკანასკნელ მიღწევებს, შეესაბამებოდეს ყველაზე მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ და სამომხმარებლო მოთხოვნებს — იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე...“.

უფრო სრულად გამოვიყენოთ, — აღნიშნულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-90 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში, — მანქანათმშენებლობის პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი, რისთვისაც შემდგომ განვავითაროთ და განვამტკიცოთ მანქანათმშენებლობის დარგების ინტეგრაცია.

როგორც ცნობილია, მეთორმეტე ხუთწლედისათვის ჩვენ უნდა მივაღწიოთ ძირეულ გარდაქმნებს წარმოების ინტენსიფიკაციაში, თვისებრივ ძვრებს საწარმოო ძალების სტრუქტურაში, პრაქტიკულად, საქმით დავეკავშიროთ სოციალისტური წყობის უპირატესობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტა კი მნიშვნელოვანწილად უნდა უზრუნველყონ დარგობრივმა კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურმა ორგანიზაციებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელია შეიქმნას მორალური და მატერიალური პირობები ინჟინრის, ტექნოლოგის და კონსტრუქტორის შრომის ეფექტიანობის გადიდებისათვის, მათი პრესტიჟულობის ამაღლებისათვის. ეს აზრი გამოითქვა სკკპ XXVII ყრილობაზეც.

ამ მიმართულებით ფართო, მასშტაბური ექსპერიმენტი მიმდინარეობს ლენინგრადის 25 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში, რომლის მიზანია გააძლიერონ კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა პასუხისმგებლობა დიდეფექტიანი ტექნიკის შექმნისათვის, მატერიალურად დააინტერესონ ისინი, რათა რაც შეიძლება ნაკლები როდენობის მუშაკთა მონაწილეობით და ნაკლები დანახარჯებით ხარისხიანად შესრულდეს დიდი მოცულობის სამუშაოები. ექსპერიმენტის მიზანია აგრეთვე რაც შეიძლება შეამციროს კვლევის, შემუშავების და დანერგვის ხანგრძლივობის ციკლი. დაჩქარონ ახალი დიდმწარმოებლური და დიდეფექტიანი მანქანის შექმნა, შეუსაბამონ ისინი საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს, უზრუნველყონ მათი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი ხელშემშლელი მიზეზი არსებობს და მათ შორის ერთ-ერთი მეტად მტკივნეულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ძალიან ხშირად ახალი მანქანის შექმნაზე მუშაობას ვიწყებთ მეცნიერული კვლევისა და ოპტიმალური პარამეტრების გაიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიამ და შედეგები რეკომენდებულია შემდგომი გავრცელებისა და სრულყოფისათვის.

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ბრიგადის ორიენტირი

თერჯოლა. (საკ. კორ.). რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენის კავალერმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ვასილ ღიბრაძემ კარგად იცის მიწის ყადრი და შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით ყოველწლიურად სტაბილურ შედეგებს აღწევს.

ბრიგადის წევრები ლევან ღიბრაძე, მარგალიტა რობაქიძე, იზო, ქენია, ნათელა გურგენიძეები, გოგონა გამეზრდაშვილი, თამარ ღიბრაძე და სხვები, რომლებმაც ყურძნის წარმოების ხუთწლედის დავალებანი 4 წელიწადში შეასრულეს, კვლავ ვენახებში არიან.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ვასილ ღიბრაძე გულმოდგინედ ეძებს შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს. ყრილობაზე ხომ ხაზგასმით იფქვა, რომ რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას ვენახების სიმეჩხრე და საგანგებო ყურადღება მიექცეს უნიკალური ვაზის ჯიშების გაშენებას. ეს არის წლეულს მესამე ბრიგადის მოქმედების ორიენტირი.

ტექნიკა მზად უნდა იყოს

ჩვენი მიმოხილვა

მხვნელ-მთესველს დარიანი დღის ყოველი საათი სათვალაშე აქვს, მაგრამ დროის ყადრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გაზაფხულის დამდეგს, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გადადებას მოსავლის დანაკარგები მოჰყვება.

მინდვრად, ბაღ-ვენახებსა და პლანტაციებში საქმის დაჩქარება კი ძირითადად დამოკიდებულია გამართულ ტექნიკაზე, მის ნაყოფიერ მუშაობაზე. ეს ჭეშმარიტება კარგად აქვთ შეგნებული ზუგდიდის, ჩოხატაურის, ბოლნისის, ახმეტის, ყვარლის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, თეთრი წყაროს, თელავის, ახალციხის და სხვა რაიონების მექანიზატორებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ტექნიკა სამუშაოდ მომზადებული ჰქონოდათ. ამ რაიონებში დროულად შეკეთდა ტრაქტორების 95 პროცენტზე მეტი და სათესელების 96-97 პროცენტი.

მაგრამ ტექნიკის მომზადებას ყველგან პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან. ბევრი ტრაქტორი, გუთანი, სათესელა და კულტივატორი შესაკეთებელია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ტექნიკის შეკეთება ყოველდება ასპინძის, ბორჯომის, ვანის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, თერჯოლის, თიანეთის, წალენჯიხის რაიონებში. აქაური აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებმა გადაუდებელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ' იმისათვის, რომ ტექნიკა სულ მოკლე დროში სამუშაოდ მზად იყოს და უწესივრობის გამო არ მოცდეს. საგაზაფხულო სამუშაოები არ შეფერხდეს: ყველას უნდა ახსოვდეს ჩვეულებრივი აგრონომიული რჩევა: დროზე დათესვა — მოიგებ, დაგვიანებ — წაგებ.

ელექტროენერგეტიკა

ეშმაკდებიან „სოიუზ ტ-15“ ხოვალდის გაშვებისათვის

ზრენის მართვის ცენტრი, 12 მარტი. (საკდესი). ბაიკონურის კოსმოდრომზე სტარტის წინა მომზადებას ამთავრებს კოსმონავტთა ეკიპაჟი — ლეონიდ კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი. „სოიუზ ტ-15“ კოსმოსური ხომალდის გაშვება 13 მარტისთვის არის დაგეგმილი.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ფ. კასტროს

12 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ფიდელ კასტროს, რომელიც მოსკოვში იმყოფება სამშობლოში გზად მიმავალი.

გაიმართა საუბარი, რომელმაც ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვის წერილის გადაცემა

12 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო არგენტინის ელჩი სსრ კავშირში ფ. ბრავო და გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილი ექვსი ქვეყნის (არგენტინა, საბერძნეთი, ინდოეთი, მექსიკა, ტანზანია, შვეიცარია) ჯგუფის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი. წერილი არის პასუხი მიმართვაზე, რომელიც არგენტინის ელჩმა მათი დავალებით მ.

გაორკაეცებული ენერგიით იშრომეს სკკპ XXVII ყრილობის მომდინარეობის დღეებში ენგურჰესის მშენებლებმა და შეასრულეს ყველა ნაკისრი ვალდებულება. ყრილობიდან დაბრუნდა მათი წარგზავნილი, ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი იური წოწორია. „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ყრილობიდან დაბრუნებულ დელეგატს და ესაუბრა მას.

ენგურჰესელთა გადაუდებელი ამოცანები

დელეგატი ფიქრობს, მოითხოვს

შეუძლებელია არ აღინიშნოს, — ამბობს ი. წოწორია, — ყრილობის მუშაობის საოცრად ჯანსაღი და ობიექტური ატმოსფერო. საკითხებზე, პრობლემებსა და ტენდენციებზე აქ იყო უაღრესად საქმიანი, კონკრეტული, პრინციპული, პირდაპირი, კრიტიკული და თვითკრიტიკული, თუ გნებავთ — გაბედული მსჯელობა. მიღწეული წარმატებების სათანადო შეფასებასთან ერთად ყრილობამ მთავარი ყურადღება გაამახვილა მტკივნეულ საკითხებზე. იყო დაუფარავი, უშუალო და გულწრფელი ლაპარაკი ნეგატიურ მოვლენებზე, ნაკლოვანებებზე, ყველა მათ გამომწვევ მიზეზებს მიეცა ჭეშმარიტად კომუნისტური შეფასება. ერთი სიტყვით, ყრილობამ მოგვცა ჩვენი შემდგომი მუშაობის გეზი, სტიმული.

დღეს სკკპ XXVII ყრილობაზე მიღებულმა დოკუმენტებმა, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდა საბჭოთა ხალხი, კანონის ძალა მიეცა.

მიმდინარე ეტაპზე თითოეული პარტიული ორგანიზაცია, მათი კომიტეტები თავიანთ მუშაობას ყრილობის პოზიციებიდან აფასებენ. ჰოდა, თუ ამ კუთხიდან შევხედავთ ენგურჰესის პარტიული ორგანიზაციის, მისი კომიტეტის საქმიანობას, წინ წამოიწია მთელმა რიგმა ძირითადმა მომენტებმა. უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ

დელეგატი ფიქრობს, მოითხოვს

ენგურჰესელთა გადაუდებელი ამოცანები

ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანები, რომლებიც უთუოდ უნდა გადაწყვიტოს ენგურჰესის მშენებლობის კოლექტივმა. ახლა მთავარია გამოიძებნოს ის გზები, მეთოდები, ფორმები, საშუალებები, რომლებიც დაგვეხმარება ეფექტიანად მივაღწიოთ მიზანს. ვაანალიზებრა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, მისი კომიტეტის საქმიანობას, ვრწმუნდები, რომ წინა პლანზე დადგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლების, შრომითს კოლექტივებზე პარტიული ზეგავლენის, საქმესრულებლო დისციპლინის, მიღებული დადგენილებების კონკრეტულობის და მისი უთუო შესრულების, კომუნისტის, ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის, კადრებთან მუშაობის, რეგულარული ინფორმირების მწყობრი სისტემის შექმნის, მოვლენათა პროგნოზირებისა და პარტიული მუშაობის სხვა საკვანძო საკითხები. ამ საკითხებისადმი ახლებურმა, შემოქმედებითმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი პამიანობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მართვის სრულყოფა. ეს ნაკარნახევია როგორც ყრილობაზე აღებული კურსით, ისე მშენებლობის რთული პერიოდით. ერთი მშენებლობიდან მეორეზე გადასვლის ეტაპი, ფაქტობრივად, ჯერ არ დასრულებულა. არადა, ხუთწლედის დამლევისათვის, როგორც ცნობილია, ძირითადი მიმართულებების თანახმად ხუდონჰესის პირველი რიგი უნდა ამოქმედდეს: აქ წარმოიშობა მთელი რიგი ობიექტური სიძნელეები, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის, სახელოვანი, გამოცდილი კოლექტივის ძალა, მობილურობა სწორედ სიძნელეებთან ჭიდილში უნდა გამოვლინდეს. თითოეულმა ჩვენთაგანმა კიდევ ერთხელ უნდა დაუსვას კითხვა საკუთარ თავს: განა ყოველთვის ობიექტური მიზეზები გვაშლიდა ხელს? უფრო მეტს და ბევრს ხომ არ მივაწერდით „ობიექტურ“ მიზეზებს, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო?

უმნიშვნელოვანეს საკითხად მიმაჩნია ხუდონჰესელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. საერთოდ, ენგურჰესის დასახლებებში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი მისი კეთილმოწყობისათვის, მშენებელთა მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დასვენებისა და გართობის სწორი ორგანიზაციისათვის. ჩვენ საბოლოოდ ვერ აღვაკვეთეთ ობიექტების ჩაბარების ვადების დარღვევები, მეტი ყურადღება უნდა დაეუთმოთ მშენებლობის პროცესში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ: მშენებლობის ტემპის გაზრდის, ობიექტების დროულად ჩაბარებისა და მშენებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველა რეზერვი როდი გვაქვს ამოქმედებული.

სკკპ XXVII ყრილობისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ენგურჰესელ კომუნისტთა კონფერენციაზე მთელმა რიგმა სამმართველოებმა, უბნებმა, ბრიგადებმა საყრილობო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. შემდგომ მათ სხვებიც შეუერთდნენ და დღეს ენგურჰესელი მშენებლები ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლექტივების მხარამხარ მრომობენ იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ პირველი კვარტალისა და წლიური გეგმები.



ახალმოსახლეთა სიხარული და წუხილი

ბაღინაანი პრობლემის სოციალური მნიშვნელობისა და სიმწვავის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXVII ყრილობაზე. ყრილობისადმი პოლიტიკურ მოხსენებაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ბევრ საყვედურს იწვევს საბინაო მშენებლობის დაბალი ხარისხი. ამასთან დაკავშირებით უნდა შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს მისცემს მის არსებობის ამაღლებას, აგრეთვე ჩვენი ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარების კეთილმოწყობის, არქიტექტურის გაუმჯობესებას.

ამ საკითხს რესპუბლიკაში წინათაც საკმაო ყურადღება ეთმობოდა. ჯერ კიდევ 1984 წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ განხორციელებული საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველმყოფ კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ცალკეულ წარმატებებთან ერთად აღინიშნა ამ მნიშვნელოვან საქმეში არსებული ბევრი პრობლემა, ნაკლი, ხარვეზი და დაისახა მათი ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

განვლილი ორი წელი საკმაო დროა იმისათვის, რომ ცვლილებანი მომხდარიყო საბინაო მშენებლობაში: გაზრდილიყო მისი მოცულობა, გაუმჯობესებულიყო არქიტექტურული პროექტების, ქალაქმშენებლობის გადაწყვეტათა ხარისხი, ამაღლებულიყო მშენებარე სახლების ტექნიკური დონე.

მაგრამ ბინაში ჩასახლებისას ახალმოსახლეებს სიხარულთან ერთად ბევრი თავსატეხიც უჩნდებათ.

— რა კეთდება საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, როგორია საბომბავლო პერსპექტივები? ასეთი - კითხვებით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს **ბ. ზ. მირიანაშვილს.**

— ყრილობის მიერ დასახული ამოცანები საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს შემდგომ მუშაობას, — თქვა გურამ მირიანაშვილმა.— უნდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღების შემდეგ განვლილი ორი წლის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ზრდას. მაგალითად, № 2 და № 3 სახლთსაშენებელი კომბინატების და ნაწილობრივ ქუთაისის სახლთსაშენებელ კომბინატის ნაწარმი უფრო ხარისხიანი გახდა და ახალმოსახლეთა ნაკლებ საყვედურს იწვევს. ზოგიერთი პოზიტიური ცვლილება მოხდა № 1 და № 5 სახლთსაშენებელი კომბინატების მუშაობაშიც. ამოქმედდა შპალერებისა და მოსაპირკეთებელი ფილების იმპორტული ხაზები საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. და ახალმოსახლეთა გულისტკივილიც საკმაოდ გასაგებია. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები, სამშენებლოები, მთლიანად ვერ ასრულებენ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

— სახელმწიფო რა ღონისძიებების შეუსრულებლობამ მოახდინა უარყოფითი გავლენა მშენებლობის ხარისხზე?

— მაგალითად, არ დაინერგა ბრიგადული იჯარა სრული საქართხო მშობის ნაწარმის გამოშვებისათვის შრომის ანაზღაურებით, არ შეუდგენენ პირდაპირ თვლებიდან კონსტრუქციების დამონტაჟებას. დიდახელიანი სახლთმშენებლობის ნაკეთობათა დამზადებისას იშვიათად იყენებენ მაპლასტიფიცირებელ დანამატებს. ორგანიზებული არ არის მშენებარე საცხოვრებელი სახლების ეტაპობრივი მიღება.

არის ღონისძიებანი, რომლებიც კონკრეტულად უნდა განახორციელოს თითოეულმა სახლთსაშენებელმა კომბინატმა. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი ქაღალდზე რჩება.

გორის სახლთსაშენებელ კომბინატში ჩაფუშეს გარეთა კედლის პანელების გამოშვების სატრანსპორტო-მოსაპირკეთებელი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა, კონსტრუქციების კვანძებში იყენებენ დაქვეითებული მარკის ბეტონს, რომელიც საკმარისად არ არის გამკვრივებული. ბათუმის სახლთსაშენებელ კომბინატში არ არის ხარისხის მართვის ერთიანი სისტემა, მოსაპირკეთებელი და სანტექნიკის სამუშაოთა დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე რუსთავის სახლსაშენებელ კომბინატში. აქ არა მარტო არ უზრუნველყვეს სრული საქარხნო მზაობის ნაწარმის გამოშვება, არამედ კვლავ აწვდიან მშენებლობებს კონსტრუქციებს, რომლებსაც ბზარები, ნაჯოიები აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას სოხუმის სახლთსაშენებელ კომბინატზეც.

პრეტენზიები არის დამპროექტებლების მიმართაც. როცა პროექტი არ არის სრულყოფილი, ხშირად სახლის ხარისხიც დაბალია. ხდება, რომ ზოგჯერ თვით პროექტით არის დასახული მასალებისა და შრომითი რესურსების გადამეტებარჯვა, ობიექტების აშენების ვადები კი წლობით ჭიანურდება.

სამწუხაროდ, დღეს ვერ დაგვაკმაყოფილებს მრავალი პროექტის ხარისხი. ტექნიკური გადაწყვეტანი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, აიძულებს მშენებლებს გასწორონ ხელის შრომის დიდი დანახარჯები, ამის გამო უარესდება ხარისხი, მშენებლობის საბოლოო ღირებულება აღემატება სახარჯთაღრიცხვის.

ბევრი კრიტიკული შენიშვნა შეიძლება გამოითქვას საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მიმართაც. მაგალითად, გორდანის, ახმეტის, აგარის, სხვა საკარიერო მეურნეობების მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის როდი აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს. დადგენილებით რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ევალებოდა შეესრულებინა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამ საკითხებისადმი ახლებურმა, შემოქმედებითმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი პასუხი

ახალმოსახლეთა სიხარული და წუხილი

ნებელი კომბინატის ნაწარმი უფრო ხარისხიანი გახდა და ახალმოსახლეთა ნაკლებ საყვედურს იწვევს. ზოგიერთი პოზიტიური ცვლილება მოხდა № 1 და № 5 სახლთსაშენებელი კომბინატების მუშაობაშიც. ამოქმედდა შპალერებისა და მოსაპირკეთებელი ფილების იმპორტული ხაზები საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. და ახალმოსახლეთა გულისტკივილიც საკმაოდ გასაგებია. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები, სამშენებლოები, მთლიანად ვერ ასრულებენ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

— სახელმწიფო რა ღონისძიებების შეუსრულებლობამ მოახდინა უარყოფითი გავლენა მშენებლობის ხარისხზე?

— მაგალითად, არ დაინერგა ბრიგადული იჯარა სრული საქართხო მშობის ნაწარმის გამოშვებისათვის შრომის ანაზღაურებით, არ შეუდგენენ პირდაპირ თვლებიდან კონსტრუქციების დამონტაჟებას. დიდახელიანი სახლთმშენებლობის ნაკეთობათა დამზადებისას იშვიათად იყენებენ მაპლასტიფიცირებელ დანამატებს. ორგანიზებული არ არის მშენებარე საცხოვრებელი სახლების ეტაპობრივი მიღება.

არის ღონისძიებანი, რომლებიც კონკრეტულად უნდა განახორციელოს თითოეულმა სახლთსაშენებელმა კომბინატმა. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი ქაღალდზე რჩება.

გორის სახლთსაშენებელ კომბინატში ჩაფუშეს გარეთა კედლის პანელების გამოშვების სატრანსპორტო-მოსაპირკეთებელი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა, კონსტრუქციების კვანძებში იყენებენ დაქვეითებული მარკის ბეტონს, რომელიც საკმარისად არ არის გამკვრივებული. ბათუმის სახლთსაშენებელ კომბინატში არ არის ხარისხის მართვის ერთიანი სისტემა, მოსაპირკეთებელი და სანტექნიკის სამუშაოთა დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე რუსთავის სახლსაშენებელ კომბინატში. აქ არა მარტო არ უზრუნველყვეს სრული საქარხნო მზაობის ნაწარმის გამოშვება, არამედ კვლავ აწვდიან მშენებლობებს კონსტრუქციებს, რომლებსაც ბზარები, ნაჯოიები აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას სოხუმის სახლთსაშენებელ კომბინატზეც.

— ეს მელიქიშვილების დინასტიის, ვინ იცის, მერამდენე თაობაა. ნიკოლოზის ძმები — ალექსი, ვანო, მათი შვილები მიხეილი, ტარიელი, ალბერტი, მათი შვილები მექანიზატორები არიან. ყველამ, უფრო მეტად, ამ ლომგული კაცს — ნიკოლოზს მიჰბაძა, მისი შრომის, კაცობისა და სახელის კვალს გაჰყვნენ.

ეამაყება ნიკოლოზს თავისი პროფესია. გული სტკივა, რომ ზოგიერთი პროფტექნიკურში კოლმეურნეობის ხარჯზე სწავლობს, მერე კი კოლმეურნეობას, პროფესიას აღარ უბრუნდება. გვარებიც დაგვისახელა — ვაჟა ბადაშვილი, გია მელიქიშვილი, გურამ კედელაშვილი...

სანამ სოფელ ზემო ქედში შეხვალთ, გზის მარცხენა მხარეს წარწერას წააწყდებით: „პირველი სატრაქტორო ბრიგადა“. ბრიგადას კი არა, ეს პატარა ქალაქს მოგაგონებს. რაღა არ არის აქ — საცხოვრებელი სახლები, სახელოსნოები, სასადილო, აბანო, კლუბ-ბიბლიოთეკა, ყველა მანქანა-იარაღი ფარდულშია; აქ ხდება ყველა კვანძისა და დეტალის შეკეთება, თითოეული ქვა და კენჭი აქ ნიკოლოზ მელიქიშვილის სახელთან



ბრიგადირი, დამრიგებელი

როცა სიტყვა და საქმე ერთია

12-13 ათასი ტონა ყურძენი შეაქვს. ახალ ხუთწლედში უფრო მეტის გაკეთებას აპირებენ. გაზაფხულის ამ დღეებში ყველა შრომისუნარიანი მიხდორში, ბაღვენახებსა და ფერმებშია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს არსენ კობაიძეს რომ ჰკითხო, იტყვის — ეს ყველაფერი ჩვენი ოქროსხელიანი ბიჭების საქმეაო. მათ შორის უწინარესად საქვეყნოდ განთქმულ მექანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს ნიკოლოზ მელიქიშვილს დაგისახელებს. ჩვენი სოფლის მარჩენალი ტექნიკის პატრონნი. და მკურნალი, მინდვრის ნამდვილი „პროფესორიაო“, — იტყვის ხოლმე მასზე. აი ეს ახალგაზრდა მექანიზატორები კი — მიხეილ ლალიაშვილი, სულიკო სუნტიძე, ჭოთილა გაგაძე, რევაზ ჩიტაური, გურამ ბექაური, მიხეილ წიკლაური (თუმცა რაღა ახალგაზრდები არიან, ორდენი და მედალი არ დარჩათ მისაღები), ნიკალას სამრიგებლოში აღზრდილები, „შირაქის მეცნიერებათა კანდიდატები“ არიანო.

— ამას წინათ, ვიანგარიშე, — გვითხრა ნიკოლოზ მელიქიშვილმა, — და ჩემს ხელში 85 მექანიზატორია გამოზრდილი; ეს მხოლოდ ისინი არიან, ვისაც პირადად მე შევასწავლე ტრაქტორი, კომბაინი. უყვართ სოფლის პატარებს ჩვენს ბრიგადაში მოსვლა, არ ვუშლი მანქანებთან, სახელოსნოებში მისვლას. პირიქით, ჩავუდგები ხოლმე მათ შუაში და ვუხსნი მანქანის მართვის წესებს, ზოგჯერ ტრაქტორის, კომბაინის საჭესაც ვანდობ, და, ალბათ, ამიტომ, ფუტკრებივით მეხვევიან...

აი ის პატარა ბიჭი, ზურიკელა, კომბაინს რომ დასტრიალებს, ჩემი ბიძაშვილის შვილიშვილია, 10 წლისაა და უკვე მეორე წელია მოსავლის აღების სეზონში მამასთან ერთად კომბაინს მართავს, ერთი წუთით არ გვშორდება, არდადეგებზე სულ ჩვენთან არის ხოლმე ბრიგადაში.

— ეს მელიქიშვილების დინასტიის, ვინ იცის, მერამდენე თაობაა. ნიკოლოზის ძმები — ალექსი, ვანო, მათი შვილები მიხეილი, ტარიელი, ალბერტი, მათი შვილები მექანიზატორები არიან. ყველამ, უფრო მეტად, ამ ლომგული კაცს — ნიკოლოზს მიჰბაძა, მისი შრომის, კაცობისა და სახელის კვალს გაჰყვნენ.

ეამაყება ნიკოლოზს თავისი პროფესია. გული სტკივა, რომ ზოგიერთი პროფტექნიკურში კოლმეურნეობის ხარჯზე სწავლობს, მერე კი კოლმეურნეობას, პროფესიას აღარ უბრუნდება. გვარებიც დაგვისახელა — ვაჟა ბადაშვილი, გია მელიქიშვილი, გურამ კედელაშვილი...

სანამ სოფელ ზემო ქედში შეხვალთ, გზის მარცხენა მხარეს წარწერას წააწყდებით: „პირველი სატრაქტორო ბრიგადა“. ბრიგადას კი არა, ეს პატარა ქალაქს მოგაგონებს. რაღა არ არის აქ — საცხოვრებელი სახლები, სახელოსნოები, სასადილო, აბანო, კლუბ-ბიბლიოთეკა, ყველა მანქანა-იარაღი ფარდულშია; აქ ხდება ყველა კვანძისა და დეტალის შეკეთება, თითოეული ქვა და კენჭი აქ ნიკოლოზ მელიქიშვილის სახელთან

პარტიული ცხოვრება

მშვიდობა დიდ გზასავალზე!

მცირე რეპორტაჟი პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომიდან

— რა იყო ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში? — თავისთვის ჩუმად იმეორებს ჩემს შეკითხვას ნინო, თან ცდილობს გიიზროს, გონების თვალს აკვლის ბოლო ერთ წელს, — ამაზე, ამაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, პარტიაში მიმიღეს... — თბილად იღიმება. მღელვარება უკან დარჩა, ეს-ეს არის. პარტიის ოქტომბრის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა საპროექტო კანტორა. „ავტოტრანსპორტის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება ახალგაზრდა სპეციალისტის, კანტორის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ნინო მარდიშვილის სკკპ რიგებში მიღების თაობაზე.

— საკანდიდატო პერიოდში ნინომ იმუშავა თავის თავზე, — თქვა პარტორგანიზაციის მდივანმა ა. მიქელაშვილმა, — ცდილობდა გამოემუშავებინა ის თვისებები, რომლებზეც თანამოსაქმეებმა მიუთითეს, როცა სკკპ წევრობის კანდიდატად იღებდნენ: უფრო გაბედული იყავი, ლმობიერება კარგია, მაგრამ მთავარია ეს თვისება საქმის საზიანოდ არ წარმართოს, მეტი პრინციპულობა გამოიჩინეო.

რასაკვირველია, ერთ წელიწადში ყველაფერი რადიკალურად და ძირფესვიანად ვერ შეიცვლება. ამ თვისებებს გამომუშავება უნდა, ამას კი დრო სჭირდება. მთავარია, რომ ნინო ყოველთვის ყურად იღებს ხოლმე რჩევა-დარიგებას, ითვალისწინებს მეგობრების აზრს, ¡ ყურადღებიანია სხვის მიმართ, თანამდგომი. — ყველაფერი ეს გაითვალისწინეს თანამოსაქმე კომუნისტებმა, როდესაც ერთხმად გადაწყვიტეს მისი პარტიაში მიღება.

სწორედ სკკპ XXVII ყრილობის გახსნამდე ოთხი დღით ადრე ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი მიიღეს სკკპ წევრებად და წევრობის კანდიდატებად ოქტომბრის რაიკომში.

პირნათელი მოვიდა ბიუროზე „თბილისგვირაბმშენის“ მეხუთე საგვირაბო რაზმის № 52 ბატის სამარკშაიდერო ჯგუფის მუშა თეიმურაზ წულაია. მათმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ ვალდებულება — ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულებინათ 2 თვის საწარმოო გეგმა — წარმატებით განახორციელა.

თითქოსდა საამისო ჯილდო იყო სწორედ ყრილობის გახსნის წინა დღეებში მისი სკკპ წევრობის კანდიდატად მიღება.

ასევე ორი თვის გეგმის შესრულება შეახვედრა კომუნისტთა დიდ ფორუმს „თბილისგვირაბმშენის“ პირველი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს № 36 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელი თამაზ ზურაშვილი ამ დღეს სკკპ რიგებში მიიღეს.

როგორია პარტიაში მისაღებთა საქმიანი, მორალური სახე? როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს თუ მუდმივ და ერთდროულ საზოგადოებრივ დავალებებს? აქვთ თუ არა კოლექტივიზმის გრძნობა, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი? კინ არიან რეკომენდატორები? ყოველმხრივ შესწავლილია პარტიაში მისაღებთა კანდიდატურები? ბოლოდ ყოველი ამის გამოცდილისწინებით დაულოცეს გზა თავიანთ გვერდიდ უფროსმა კოლეგებმა იმ დღეს ტარიელ ნიფარიძეს — „საქმთავარენერგოს“ სპეციალიზებული ტრესტის თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საგზრგაბმშენის“ ელექტრიკოსს, ნოდარ ტუსაკაძეს — ექსპერიმენტული საავტო ფაბრიკის მეხუქურთმეს, იოსებ მაჩაბლიშვილს — ამავე ფაბრიკის ზეინკალს... ამ დღეს პარტიის წევრობის კანდიდატებად დაამტკიცეს ამავე ფაბრიკის მეადაზე ზურაბ გოგია და კავშირგაბმულობის № 62 განყოფილების ტელეგრაფისტი ციცინო ფოგლაძე.

ყრილობა დამთავრდა, ბიუროში, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტები შეხვდნენ უკვე როგორც კომუნისტთა დიდი არმიის სრულუფლებიანი წევრები. თითოეული მათგანისთვის ნათელია მისი გადაწყვეტილებები, მიზანმიმართულებანი. ეს ყველამ საკუთარ სამოქმედოდ აღიქვა, ისე რომ წინ დიდი მიზნებია.

მშვიდობა თქვენდა დიდ გზასავალზე!

გ. ხარებაშვილი.



სურათზე: ბიუროს დამთავრდა. ეს ახალგაზრდები უკვე სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები არიან. მარცხნიდან — ე. ოგანოვი, თ. ზურაშვილი, ნ. ტუსაკაძე, გ. სადფინშვილი, ნ. მარდიშვილი, ი. მაჩაბლიშვილი და ტ. ნიფარიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საიმედო პარტნიორი

ასეთად მიაჩნიათ თბილისის ქარხანა „მიკროძრავა“ ტაშკენტში, რიგაში, სვერდლოვსკსა და კიშინიოვში, ოსლოსა და ჰავანაში. კოლექტივი თავის პროდუქციას უგზავნის 263 მომხმარებელს — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, საზღვარგარეთის 24 ქვეყანაში. გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაურმა საწარმომ ჩინებულად გაართვა თავი საგელშეკრულებო ვალდებულებებს.

— ჩვენი საწარმოს ძირითადი პროდუქციაა ჩარხებისათვის, ხიდურა ამწეების, ტუმბოებისა და სარეცხი მანქანებისათვის განკუთვნილი მცირე გაბარიტის ელექტროძრავები, — თქვა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ რ. ცოტაძემ. — შეკვეთების შესრულების „ტექნოლოგია“, ერთი შეხედვით, არ არის რთული. ახალი წლის წინ ვდები ხელშეკრულებას, ვუთანხმებთ მომხმარებელს პროდუქციის გაგზავნის კონკრეტულ ვადას, ვადგენთ გეგმას, ვაცნობთ შეკვეთას ყველა საამქროს და ვიწყებთ დავალების განხორციელებას. მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ზუსტი შესრულების მიღმაა არა მარტო ჩვენი საწარმოს მუშაკების, არამედ მომიჯნავე კოლექტივების უდიდესი შრომაც.

დღეს ყოველი ქარხანა ბევრ სხვა საწარმოსთან არის დაკავშირებული. ამიტომ მიწოდების გეგმის შესრულებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს მომარაგების საკითხები. „მიკროძრავას“ საიმედო პარტნიორული ურთიერთობა აქვს. შეუფერხებლად აწვდიან სხვადასხვა მასალას, დეტალებს, კვანძებს, გაერთიანება „საქელექტრომანქანას“ მგანტოგორსკისა და ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინატები, პერმის ქარხანა „მინანქარსადენი“ და სხვა საწარმოო კოლექტივები.

კოლექტივის მუშაობის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მონაწილეობამ ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტში, რომელიც რამდენიმე წელიწადს მიმდინარეობდა გაერთიანებაში. მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფარგლებში საწარმოში შეიქმნა 29 კომპლექსური და 13 სპეციალიზებული ბრიგადა. ახლა მუშებს ხელფასს ურიცხავენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის შესაბამისად. მუშათა პრემიის ოდენობაზე გავლენას ახდენს ისეთი მაჩვენებელიც, როგორიც არის მიწოდების გეგმის რიტმული შესრულება. თუ გაერთიანება. დროულად უგზავნის პროდუქციას შემკვეთს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ყოველკვარტალურად იღებენ პრემიას სარგოს 60 პროცენტის ოდენობით.

ელექტრონული დიაგნოსტი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა ბერლინის რაიონში ჩამომავალი მდინარის შპრეს წყლის სიკაჟამის შემოწმება მიანდეს ავტომატურ აპარატურას, რომელიც საქართველოში შეიქმნა. მის დასამონტაჟებლად თბილისიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაემგზავრა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზბელასწყოს“ თანამშრომელთა ჯგუფი. გერმანელ კოლეგებთან ერთად მათ ვალდებულება იკისრეს სკკპ XXVII ყრილობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მომავალი XI ყრილობის აღსანიშნავად ვადამდე, 10 აპრილს დაასრულონ შპრეზე და ჩრდილოეთის სარინ არხში წყლის სიკაჟამის საანალიზო სამი ავტომატიზებული სისტემის დამონტაჟება და ამოქმედება.

ავტომატურად მოქმედი ქიმიური ლაბორატორია, რომელიც შეკრებილი მონაცემების საანალიზო მიკროპროცესორით არის აღჭურვილი, შეიმუშავეს და დაამზადეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მეთაურ ორგანიზაციაში ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზაურ ყრუაშვილის ხელმძღვანეობით.

ელექტრონულ ექმის შეუძლია სულ რამდენიმე წუთში ზუსტად გამოიკვლიოს წყლის სინჯებში 17 სხვადასხვა ქიმიური ელემენტის უმცირესი მინარევების შემცველობა. რომელიმე მათგანის სახიფათო კონცენტრაციის აღმოჩენისას იგი მყისვე ატყობინებს ამ ამბავს სპეციალისტებს ტაბლოს შუქსიგნალებით, გადაცემს ტელექსით კონტროლის სანიტარული სამსახურის ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტს.

ზედაპირული წყლების გაჭუჭყიანების კონტროლის ავტომატიზებულ სისტემათა შემადგენლობაში ასეთი სადგურები უკვე მოქმედებს მდინარე მტკვარზე თბილისის ფარგლებში, აგრეთვე მოსკოვ-მდინარეზე დედაქალაქის ზონაში.

(საქინფორმი).

ბედნიერი ქალაქი

ვორონეჟის 400 წლისთავისათვის

სამანქანიანი იალქნიანი გემი ამშენებს ვორონეჟის ძველ ბერებს. მაგრამ დღეს მხატვრები მიმართავენ სამაკრო ლაინერის, გახლეჩილი ატომისა და სამშენებლო ამწის — თანამედროვე ქალაქის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნების გამოსახულებას. ისტორიამ ქალაქს მდიდარი მხედრული და შრომითი ბიოგრაფია არგუნა.

ვორონეჟი, ციხესიმაგრე, რომელიც მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთის სამეფო ავანპოსტი იყო, შემდეგ სამამულო მატიანეში შევიდა როგორც რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტის აკვანი. პეტრე პირველმა, გადაწყვიტა რა დაებრუნებინა თურქების მიერ დაპყრობილი აზოვი და გასულიყო შავ ზღვაზე, 1696 წლის თებერვალში ბრძანა საფუძველი ჩაეყარათ მდინარე ვორონეჟის შესართავზე გემთსაშენისათვის, დაეარსებინათ საადმირალო და დაეწყოთ იალქნიან-ნიჩბიანი სამხედრო ხომალდების მშენებლობა.

ვორონეჟელებმა არსებითი წვლილი შეიტანეს რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში, ღირსეულად გადაიტანეს დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელი.

დღეს პეტრესდროინდელი გემთმშენებლების შთამომავლები, იმათი შვილები და შვილიშვილები, ვინც ომის წლებში მრისხანე იარაღს სჭედდნენ, აწარმოებენ ილ-86 სამგზავრო აერობუსებსა და მიწასთხრილ მანქანებს, ავტომატურ ლითონდამმუშავებელ ხაზებსა და ტექნიკურ ქსოვილებს, სინთეზურ კაუჩუკსა და ავტომობილის საბურავებს, ფერად ტელევიზორებსა და მეოთხე თაობის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს. მათ ააგეს მძლავრი ატომური სადგური, რომელმაც უკვე გამოიმუშავა დაახლოებით ორასმილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, აშენებენ თბომომარაგების ატომურ სადგურს, რომელის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკ

ქრონიკა

ფაქტები • მოვლენები

ეს ითქვა ყრილობაზე

„... ახალი ოჯახის ჩამოყალიბება იოლი საქმე როდია. ეს რთული პროცესია, და მას თავისი პრობლემები აქვს...

განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ ახალგაზრდა ოჯახები. ოჯახური ცხოვრებისათვის ახალგაზრდობა უნდა მოვამზადოთ. უფრო მოფიქრებული უნდა იყოს ახალდაქორწინებულთათვის მატერიალური დახმარების გაწევის სისტემა, უწინარეს ყოვლისა საბინაო-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში“.

(პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან).

დედა, მამა, მე -სტუდენტური ოჯახი ვართ

სამი წლის ზურაბი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების ნინო და ზაურ ქინქლაძეების ვაჟი — ქმაყოფილია. ახლა იგი დედასთან და მამასთან ერთად ცხოვრობს, და არა ბებიასთან გორის რაიონის სოფელ ატენში, როგორც წინათ. მისმა მშობლებმა მიიღეს ნათელი ერთთოთახიანი ბინა ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში.

— ბავშვს წინათ მხოლოდ არდადეგების დროს თუ ვხედავდით, — თქვა ნინომ. ძალზე განვიცდიდით, რომ ვერ ვმონაწილეობდით მის აღზრდაში. ახლა პრობლემები აღარა გვაქვს. დღისით ბავშვი საბავშვო ბაღშია, რომელიც აქვეა, ქუჩის გადაღმა, — ძალიან მიყვარს პატარები. ბავშვობაში ვუფლიდი უმცროს ძმებსა და დებს. დედას შვიდი შვილი ვყავდით. როცა შევიტყვე, რომ ბინას გვაძლევენ, გავბედე მეორე ბავშვის გაჩენა. ჩვენი სტუდენტური ოჯახური სახლი კარგი და მყუდროა. გამიძნელდება მასთან განშორება... როგორც კი ზაური დიპლომს მიიღებს, წავალთ ამბეკის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში, რომლის ლიმიტთაც იგი სწავლობს, იქ უკვე სამუშაო გველის.

— კი მაგრამ ეს ბინა?

— მას მიიღებენ სტუდენტები, რომლებიც იმ დროისათვის დაქორწინდებიან, — ეღიმება ჩემს გიდს სტუდენტურ საოჯახო საერთო საცხოვრებელში, ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, დოცენტ კარლო ბაჩაძეს. — შემოვიღეთ რიგითობის წიგნიც, მაგრამ, ახალი ჩანაწერები ამ წიგნში ჯერ არ არის, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია. სტუდენტურ საცხოვრებელს, სხვათა შორის, განაგებს ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი აკაკი იოსებაშვილი. იგი ინსტიტუტის პროფკომის წევრია. მისი ნახვა შეგვიძლია. იგი თავისი ოჯახით აქ ცხოვრობს.

აკაკისთან იმ დროს მივედით, როცა კვების ტალონებს ანაწილებდა.

— ეს შეღავათიანი ტალონებია დაოჯახებულთათვის. — ეწვიეთ ჩვენს „რესტორანს“? იქ ყოველთვის არის ახალი ხორცი, ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტები. არის ნახევარფაბრიკატების განყოფილებაც.

— სტუდენტური ბიუჯეტით თუ გადიხართ იოლად? — ვეკითხები აკაკის.

— რა თქმა უნდა. თავად განსაჯეთ: მე და ჩემი მეუღლე ქეთინო, ისიც სტუდენტია, თვეში 100 მანეთს ვიღებთ. ბინის ქირა თვეში სამ მანეთზე ნაკლებია. სამჯერადი კვების ტალონები 18 მანეთი ღირს. საბავშვო ბაღ-ბაღი უფასოა. ყველაფერს პროფკავშირი იხდის. ასე რომ, აქ გაუჭირვებლად შეიძლება იცხოვრო. ჩვენ, მაგალითად, გადავწყვიტეთ მეორე ბავშვი ვიყოლიოთ. მაისში ველოდებით ოჯახის შევსებას. ჩვენთან ბევრი სტუდენტური ოჯახია, რომლებსაც ორ-ორი ბავშვი ჰყავთ. მაგალითად, ორი ბავშვის მამაა გოჩა ხარაიშვილი.

— მოდით შევიდეთ მასთან, — შემოგვთავაზა კარლო ბუაჩიძემ, — ეს ჩვენი გმირის ოჯახია. გოჩა ავღანეთში მსახურობდა.

კაკუნზე პასუხი არავინ გაგვცა. გამოღებულ კარში დავინახეთ გოჩა, რომელიც გატაცებით უყურებდა გადაცემას „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“.

— ეს ჩემი საყვარელი გადაცემაა, — გაეღიმა გოჩას. — განსაკუთრებით საინტერესოა, როცა უნვენებენ, თუ როგორ მსახურობენ ჩვენი ბიჭები ავღანეთში.

გოჩას ბევრი რამ აქვს გასახსენებელი. იგი ამაყობს იმით, რომ პირნათლად მოიხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი. დუშანბეთან ბრძოლაში დაიჭრა. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“. როგორც კი ჯარიდან დაბრუნდა, ეგი მიიღეს ინსტიტუტში შეღავათიანი პირობებით. ჯარისკაცმა გადაწყვიტა გახდეს მებაღე. მისი ოცნებაა გადაკეთოს ჩვენი მიწა აყვავებულ ბაღნარად. საერთო საცხოვრებელში მას მისცეს ბინა. აქვს ტელევიზორი, მაცივარი, მაგნიტოფონი, ბევრი წიგნი. საწოლზე ტკბილად ძინავს ორი თვის ბეგლარს.

— სად არის იზოლდა? — ეკითხება აკაკი გოჩას.

— იგი ნათიასთან ერთად „დედის სკოლაშია“, კონსულტაციას უწევს ახალგაზრდა დედებს, — თქვა გოჩამ. მისი მეუღლე მედიკოსია და ახალგაზრდა დედები მისგან იღებენ რჩევას, როგორ კვებონ პატარები, როგორ მოუარონ მათ.

— ჩვენთან შექმნილია ახალგაზრდა დედის კლუბი, — გვეუბნება პროფკომის თავმჯდომარე. ვიწვევთ პედაგოგებს, მედიკოსებს, ფსიქოლოგებს. ცოტა ხნის წინათ ჩვენთან სტუმრად იყო ცნობილი მეცნიერი შალვა ამონაშვილი. კლუბთან შექმნილია ჭრა-კერვის, ხელსაქმის, კულინარიის წრეები. ახლახან გამართულმა კონკურსმა ცხადყო, რომ ჩვენი გოგონები არ ჩამოუვარდებიან ცნობილ ოსტატებს არც საჭმლის მომზადებაში, არც ქსოვაში.

ნთახში შემოიხედა მომავალმა მელიორატორმა ტარიელ თუმანიშვილმა. მან გოჩას მოაკითხა. დღეს სტუდენტთა სახლის პირველ სართულზე შიხვედრა ეწყობა რექტორთან. არ არის საჭირო ჩაწერა მიღებაზე, განცხადების შეტანა, პასუხის ლოდინი. თვეში ერთხელ სტუდენტთა საბჭო ხვდება რექტორს. აქ ნებისმიერი პრობლემის განხილვა შეიძლება: მაგალითად, სტუდსაბჭომ აღძრა საბავშვო ბაღ-ბაღის, საოჯახო ეთიკის უნივერსიტეტის შექმნის, თავისუფალი დროის გატარების საკითხები. ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა. რადგან საბავშვო ბაღა-ბაღის მშენებლობას დიდი დრო სჭირდება, ხელშეკრულება დაიდო სახაგრომრეწვის დიღმის სარემონტო ქარხნის დირექციასთან. ინსტიტუტის პროფკავშირმა გასწია მთელი ხარჯები. გაიხსნა საოჯახო ეთიკის უნივერსიტეტი, გახანგრძლივდა სტუდენტური სასადილოს მუშაობის დრო, რათა ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცეთ ოჯახურ პირობებში აღნიშნონ დაბადების დღეები, ან უბრალოდ შეიკრიბონ საღამოობით ფინჯან ჩაიზე.

— ახალგაზრდული სტუდენტური ოჯახები ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, — თქვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ოთარ ნათიშვილმა. — სახლი, რომელშიც შევიკრებეთ, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი გარდაქმნებისა, რომლებიც ჩვენ დავიახეთ.

მტკიცე ოჯახი საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბურჯია, აღნიშნა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში, — თქვა შემდეგ რექტორმა. ისე უნდა წარვმართოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობა, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს ოჯახის განმტკიცებას. ამ კორპუსის რემონტსა და ხელახლა მოწყობას 100 ათასამდე მანეთი მოხმარდა. ახლა შენდება სასტუმროს ტიპის სამი მაღლივი შენობა. ერთ-ერთი მთავარი განკუთვნილია საოჯახო საერთო საცხოვრებლისათვის.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, უკანასკნელი წლების მანძილზე ახალგაზრდობა სულ უფრო ხშირად ქორწინდება 20-22 წლის ასაკში, ეს იგი, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი სტუდენტების 95 პროცენტი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდანაა ჩამოსული, მათთვის ბინის პრობლემა მთავარი ხდება. ჭვინდა დავაჩქაროთ მშენებლობის ტემპი. და ჩვენ ვთავაზობთ პრობლემის გადაჭრას. ინსტიტუტის სტუდენტებმა მესამე შრომითს სემესტრში ააშენეს რამდენიმე ათეული მკვიდრი შენობა. ისინი კვალიფიციური ოსტატები არიან. შეძლებენ სახლის აშენებას თავიანთთვისაც. მშენებლობაში მონაწილეობა ახალგაზრდას მისცემს არა მარტო ბინას, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საკუთარი ძალების რწმენასაც. ეს კარგად არის ნათქვამი პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში: „სწორად იქცევიან იქ, სადაც მხარს უჭერენ ახალგაზრდული კომპლექსების აგებას. ახალგაზრდების დაინტერესებამ და ენერგიამ ბევრი რამ შეიძლება გააკეთოს ამ მხრივ“.

მეორე საკითხია სტუდენტთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა. ყოველწლიურად დაფინანსების ყველა ფონდიდან ინსტიტუტი ამ მიზნებისათვის ხარჯავს 10 ათას მანეთზე მეტს. არა პირითა ხოლო ცხოვნდების კაციო, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცი. გინდა წახვიდე თეატრში, იყიდო კარგი წიგნები, იმოგზაურო და, ბოლოს, ლამაზად ჩაიცვა. ამისათვის საჭიროა დამატებითი შემოსავალი. ჩვენ შევქმენით სტუდენტთა შრომითი მოწყობის ბიურო. მსურველებს სამუშაოზე ვგზავნით სასწავლო მეურნეობაში, სტუდენტურ კაფეში, საბავშვო ბაღა-ბაღში, საერთო საცხოვრებლებში...

საერთოდ, პრობლემები ჯერ კიდევ საკმარისად გვაქვს. რესპუბლიკის თითქმის ასი ათასი სტუდენტი დიდი ძალაა. მთლიანად გამოვავლინოთ მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი — აი მთავარი ამოცანა, რადგან ადამიანებს პასუხისმგებლობას უნერგავენ პასუხსაგები საქმეებით.

ბ. კენჭოშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იცნობდებს საკონკურსო მასალების მიღებას 1986 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

კომიტეტი შეახსენებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ დებულებით კანდიდატს ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს, ბოლო ნაწარმოები ან ნაწარმოებთა ციკლი მთლიანად უნდა იყოს გამოქვეყნებული პრემიის მინიჭებამდე (ივლისის პირველი დეკადა) 6 თვით ადრე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1986 წლის 1 მაისი.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8; ტელეფონები: 93-76-04, 99-64-82.

ეს ითქვა ყრილობაზე

„... ახალი ოჯახის ჩამოყალიბება იოლი საქმე როდია. ეს რთული პროცესია, და მას თავისი პრობლემები აქვს...

განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ ახალგაზრდა ოჯახები. ოჯახური ცხოვრებისათვის ახალგაზრდობა უნდა მოვამზადოთ. უფრო მოფიქრებული უნდა იყოს ახალდაქორწინებულთათვის მატერიალური დახმარების გაწევის სისტემა, უწინარეს ყოვლისა საბინაო-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში“.

(პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

აღიკვეთოს ფინანსური შანტაჟი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა მკაცრად გააკრიტიკა იმ ქვეყნების მოქმედება, რომლებიც არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ თავიანთ ვალდებულებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოსვლისას მან თქვა, რომ ამგვარ აქციებს, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტში შესატანის გადახდისათვის თავის არიდებას ან მათს თვითნებურ ცალმხრივ შემცირებას არა მარტო წმინდა ფინანსური, არამედ სერიოზული პოლიტიკური შედეგებიც მოყვება. საქმე ეხება იმას, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან ეს ქვეყნები თავიანთ საწესდებო ვალდებულებებს.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ ფინანსურ შანტაჟს სულ უფრო აქტიურად მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც უშუალოდ უკავშირებს ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების შესრულების იმას, რომ ამ უდიდესმა საერთაშორისო ორგანიზაციამ შეცვალოს პოლიტიკა ვაშინგტონის ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით პერეს დე კუელიარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი აქციები ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მთავარ მიზანს — მშვიდობის, სამართლიანობისა და პროგრესის მიღწევაში სხვადასხვა ერის თანამშრომლობას.

რაც შეეხება ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა განცხადებას, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტი „მეტისმეტად გაბერილი“ იყოს, როგორც აღნიშნა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, იგი ნაკლებია ერთი ბირთვული წყალქვეშა ნავის ღირებულებაზე ან იმ სახსრებზე, რომლებსაც გამოყოფენ, მაგალითად, ისეთი ქალაქის პოლიციის შესანახად, როგორიც არის ნიუ-იორკი.

„ᲘᲛᲘᲡ ნაცვლად, რომ უახლოესი 10-15 წელი მოვანდომოთ კაცობრობისათვის უაღრესად სიფიფათო ახალი იარაღის შექმნას კოსმოსში, რომელიც თითქოს ომისთვის არის გათვალისწინებული, რომ ბირთვული იარაღი უძაბისი გახადოს, განა უფრო გონივრული არ იქნება დავიწყოთ თვით ამ იარაღის მოსპობა და საბოლოო ანგარიშით მთლიანად გავანადგუროთ იგი?“

მიხეილ გორბაჩოვმა კარგი შეკითხვა დასვა. მართლაც, განა ეს უფრო გონივრული არ იქნებოდა? ამერიკელები ამ გონივრულობას არ იზიარებენ და არ აპირებენ შეცვალონ თავიანთი გეგმა — განავითარონ კოსმოსური იარაღი, რომელიც „ჩვეულებრივ“ ბირთვულ იარაღს უმაქნისად აქცევს. შეიძლება თუ არა, რომ ამ შემთხვევაში კომუნისტი იყოს მართალი და არა ჩვენი ვაშინგტონელი მოკავშირე? როგორი გონივრულობა შეიძლება დავუპირისპიროთ გორბაჩოვის წინადადებას, რომელიც მან თავისი 15 იანვრის განცხადებაში წამოაყენა: „1999 წლის დამლევისათვის დედამიწაზე აღარ დარჩება ბირთვული იარაღი. შეიმუშავდება უნივერსალური მორიგება იმის თაობაზე, რომ ეს იარაღი აღარასოდეს აღარ აღდგეს“.

ყველაფერი ეს პროპაგანდაა?

მაგრამ რა შეიძლება დავუპირისპიროთ გორბაჩოვის წინადადებას — „1986 წლიდან დავიწყოთ ბირთვული კატასტროფის წინაშე შინისაგან კატაბრიობის ხსნის პროგრამის განხორციელება?“ რა დავუპირისპიროთ ატომური იარაღის გამოცდის რეალურ შეწყვეტას, რომელსაც ამერიკელები ეწინააღმდეგებიან? ნამდვილად მხოლოდ კომუნისტების მეთაურია თამამი რეალისტი, როცა იგი სახარელი ქიმიური იარაღის მოსპობას ამ საუკუნეშივე მიიჩნევს შესაძლებად?

იქნებ გორბაჩოვს ატომური იარაღის მოსპობა იმიტომ სურს, რომ კონვენციური (ჩვეულებრივი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდისათვის დამახასიათებელი — რედ) იარაღის მხრივ არსებული უპირატესობით საბჭოთა კავშირს საშხედრო უპირატესობა შეუქმნას?

მაშინ რატომღა გვთავაზობს იგი კონვენციური შეიარაღებისა და ჯარის შემცირებასაც?

დასავლელი სკეპტიკოსები იმ კაცს ემსგავსებიან, რომელსაც თუ არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, ქვასაც ვერ დაინახავს. კრემლის ლიდერი ტაშს იმსახურებს. უგუნური გამალებული შეიარაღების გასულ ათწლეულებში არცერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ გამოუთქვამს ასეთი ფართო და რადიკალური წინადადებები კაცობრიობისათვის მშვიდობის უზრუნველსაყოფად. განა უკეთესი არ იქნებოდა ასეთი რამ ვაშინგტონს გაეკეთებინა?

როცა თეთრი სახლის ერთ ნაწილში გორბაჩოვის განცხადებას გადასცემდნენ, მეორე ნაწილში რეიგანის თანამშრომლები ჟურნალისტებს აწერშუნებდნენ, მოსკოვში კომუნისტური პარტიის ყრილობაზე რუსებისაგან განიარაღების საკითხში ახალ წინადადებებს არ უნდა ველოდეთო, რონალდ რეიგანმა კი, თავისი მოსკოველი პარტნიორის ინიციატივით გაკვრავებულმა, მადლიერება გამოხატა გორბაჩოვის ამ განცხადებასთან დაკავშირებით. ეს არის რეაქცია, რომელიც წინსვლის იმედს გვიტოვებს ჟენევის მოლაპარაკებაზე, სადაც ახალი საბჭოთა წინადადებებია წარმოდგენილი, მაგრამ შენიშნავენ განა ამერიკელები ამ საუკეთესო შანსს და იტყვიან უარს „ვარსკვლავეთის ომებზე“ ნამდვილი განიარაღების სასარგებლოდ?

რონალდ რეიგანს შეუძლია თავს რეკლამა გაუწიოს, აქაოდა რუსებმა მუქარით ვაიძულე მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყვნენო. იგი, ალბათ, შეეცდება გამოიყენოს შეერთებული შტატების ტექნოლოგიური უპირატესობა და დაარწმუნოს საბჭოთა კავშირი „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ მეშვეობით.

მეორე მხრივ, მას შეუძლია, თუ კი მართლაც სურს, „შვიდობისმოყვარე კაცი“ გახდეს და თავისი ხელისუფლების დასასრულს ისტორიაში შევიდეს. ოღონდ მაშინ, რე გორბაჩოვის წინადადებებზე დადებითს პასუხს გასცემს.

შეუძლია მას ეს?

მან ეს უნდა გააკეთოს?

კაცობრიობას აქვს უფლება განთავისუფლდეს ბირთვული განადგურების კოშმარისაგან და იმისგანაც, რომ დედამიწის შეიარაღება კოსმოსის შეიარაღებას დაუკავშიროს, ამის შესაძლებლობა არსებობს. ეამი, როცა უნდობლობა ბატონობს და სულ უფრო მეტი დამანგრეველი პოტენციალი გროვდება, შეიძლება დასრულდეს, თუკი გორბაჩოვის წინადადებები სერიოზულად და შეთანხმების სურვილით იქნება განხილული. ჩვენ არა გვაქვს უფლება ვაპატიოთ მას, ვინც ამ შანსს ხელიდან გაუშვებს, შანსს, რომელიც შეიძლება აღარც განმეორდეს.

ადასტურებს პრესა

როლფ ვინტერი: შანსი, რომელიც შეიძლება აღარც განმეორდეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ამა წლის 15 იანვრის განცხადებამ მსოფლიო საზოგადოებრიობის უართო გამოხმაურება პოვა. მომხრეებიცა და მოწინააღმდეგენიც ერთხმად აღიარებენ, რომ განცხადებაში წარმოდგენილი განიარაღების პროგრამა თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით უპრეცედენტო ომის შემდეგდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეთაური წერილი, რომელიც დასავლეთგერმანული ყოველკვირეულის „შტერნის“ მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა მისმა რედაქტორმა, ცნობილმა პუბლიცისტმა როლფ ვინტერმა. წერილი ნათლად მოწმობს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა შეშფოთებას ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების უხეში აგრესიულობით, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებული პროგრამის ცხოველმყოფელობას.

● ესპანეთი

საერთო-ეროვნული რეფერენდუმი

მადრიდი. ესპანეთში დაიწყო საერთო-ეროვნული რეფერენდუმი ნატოს წევრობის საკითხზე. მოეწერ ქვეყანაში გაიღო 42000-ზე მეტი საარჩევნო უბნის კარი. თითქმის 29 მილიონმა ხმის უფლების მქონე ესპანელმა უნდა გამოთქვას თავისი აზრი ქვეყნის მომავლისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე: დარჩეს თუ არა ესპანეთი ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში.

„ესპანეთის ინტერესებისათვის კენჭისყრისას თანხმობა განაცხადეთ“ — ასეთი ლოზუნგით გამოდის რეფერენდუმზე ესპანეთის მმართველი სოციალისტური მუშათა პარტია, რომელმაც მკვეთრად შეიცვალა პოზიცია მას შემდეგ, რაც 1982 წელს ანტინატოური პროგრამით გახელისუფლდა. ახლა ფ. გონსალესის პარტია, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარის პოსტი უკავია, მხარს უჭერს ესპანეთის დარჩენას ნატოს პოლიტიკურ ორგანიზაციაში, რომელსაც ქვეყანა თითქმის 4 წლის წინათ უეცრადა. ესპანელ სოციალისტებს ძალზე გაუჭირდათ აეხსნათ საზოგადოებრიობისათვის, თუ რატომ მოხდინეს ესოდენ მკვეთრი შემობრუნება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან დაკავშირებულ პოზიციაში. მთავრობა ერთი თვეა ეწევა მძლავრ პროპაგანდისტულ კამპანიას, რათა დაარწმუნოს საზოგადოებრიობა, თუ რაოდენ „ხელსაყრელია“ ესპანეთისათვის ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში ყოფნა. ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ასეთი კურსი მკვეთრ კრიტიკას იწვევს თვით მმართველ პარტიაშიც.

● ჩილე

ანტიხალხური დიქტატურის წინააღმდეგ

ბუენოს-აირესი. პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტურმა რეჟიმმა გამოაცხადა, რომ ჩილეში კვლავ ექვსი თვით გააგრძელეს ეგრეთ წოდებული „საშიში მდგომარეობა შინაგანი მშვიდობის. დარღვევის საფრთხესთან დაკავშირებით“. ეს ღონისძიება ხელისუფალთ შესაძლებლობას აძლევთ დაუპატიმრონ პატრიოტები ბრალდების წაუყენებლად, განახორციელონ პრესის უსასტიკესი ცენზურა. აკრძალულია მიტინგებისა და კრებების მოწყობა. ტერორისა და რეპრესიების დახმარებით პინოჩეტი ცდილობს ჩაახშოს ჩილეს თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენის მზარდი მოძრაობა.

კარაკასი. წელს ჩილელი პატრიოტები, მთელი ჩილელი ხალხი აპირებენ გააკეთებენ ბრძოლა პინოჩეტის ანტიხალხური დიქტატურის რეჟიმის დამხობისა და დემოკრატიის აღდგენისათვის, წერს ვენესუელის გაზეთ „ნასიონალში“ ჩილეს რადიკალური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მიგელ ლეონ პრადო.

როგორც 1985 წელმა ცხადყო, აღნიშნავს იგი, ტერორმა და რეპრესიებმა ვერ გატეხეს ჩილელთა ნება. მათ აღარ სურთ შეურიგდნენ ისეთ მდგმარეობას, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს ან საერთოდ არა აქვს სამუშაო, ან მხოლოდ ნაწილობრივ არის დასაქმებული.

ჩილეში ძლიერდება მთელი პატრიოტული ძალების ბრძოლა, წერს მ. ლეონ პრადო, მომენტის მთავარი ამოცანაა ერთიან ფრონტად გაერთიანდნენ მემარცხენე პარტიები დიქტატურასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

სახალხო მღელვარება განტუსტანეგში

ჯარარე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მიღებული ცნობით, 20 კაცზე მეტი დაიღუპა ბოლო რამდენიმე დღეში ანტარასისტულ მანიფესტაციათა მონაწილეებთან პოლიციის ცხარე შეტაკების შედეგად. ფორმალურად გააუქმეს ერა საგანგებო წესები, პრეტორიის ხელისუფალნი აძლიერებენ ტერორს ყველა სხვარიგ მოაზროვნეთა წინააღმდეგ. ბელგიელი კეიპტაუნის მახლობლად დამსჯელებმა ლითონის წკეპლებით დაარბიეს „ფერადკანიან“ მცხოვრებთა მასობრივი დემონსტრაცია. არიან დაჭრილები. დურბანის გარეუბანში პოლიციამ მრავალგზის გამოიყენა ცრემლსადენგაზიანი გრანატები.

სახალხო მღელვარებამ მოიცვა ბანტუსტანები — ტომობრივი რეზერვაციები, რომლებიც რასისტებმა მილიონობით აფრიკელთა სავიზოლაციოდ შექმნეს. მოტტატემში (ლებოას ბანტუსტანი) ორი ათასზე მეტმა კაცმა მოაწყო საპროტესტო მარში ადგილობრივ საპოლიციო უბანთან. მათ პასუხად ტყვია დაუშინეს. შვიდი კაცი დაიღუპა, ხუთი დაიჭრა. ანალოგიური გამოსვლა მოეწყო მაპლერეფის დასახლებაში.

კეიპტაუნის რასობრივი ურთიერთობის ინსტიტუტის მონაცემებით, ამა წლის თებერვალში პოლიტიკური გამოსვლების დროს დაიღუპა 107 კაცი. სულ ბოლო წელიწადნახევრში ქვეყანაში მოკლულია 1300-ზე მეტი აფრიკელი. სამი ათასზე მეტი დაიჭრა.

ისტ-ლონდონში უცნობ პირთა ჯგუფმა დაწვა გაერთიანებულ აფრიკელ მუშათა კავშირის განყოფილების შენობა. როგორც ამ პროფკავშირის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, ტერორისტული აქცია ჩაიდინეს საიდუმლო პოლიციის აგენტებმა, რომლებიც ბოლო ხანს სამჯერ დაესხნენ თავს პროფკავშირის აქტივისტებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფალთა ხრიკების მიუხედავად, პროფკავშირი განაგრძობს ბრძოლას მშრომელთა უფლებებისათვის.

სურათზე: აფრიკელი მოსახლეობის საპროტესტო დემონსტრაცია პრეტორიის გარეუბანში.

აპ-საქსი ფოტო.

ძველი ბრძოლა კონგრესთან

ძლიერდება წინააღმდეგობა ნიკარაგუის მიმართ თეთრი სახლის აგრესიული პოლიტიკისადმი

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა კვლავ დაადასტურა, რომ მისი ადმინისტრაცია დიდ იმედს ამყარებს კონტრასთა ბანდებზე, რომელთა ხელითაც ცდილობს შეერთებული შტატები დაამხოს ნიკარაგუის კანონიერი მთავრობა და რომლებსაც მკვეთრად უდიდებს დახმარებას. სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას თეთრი სახლის მესვეური აქტიურად ჩაება კონგრესზე ზემოქმედების უპრეცედენტო ინტენსიურ კამპანიაში, რათა დაიყოლიოს იგი, რომ გამოყონ კიდევ 100 მილიონი დოლარი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ყოფილ სომოსელთაგან ჩამოყალიბებული ტერორისტული ბანდების დასახმარებლად, რომლებსაც რეიგანი დიდის ამბით უწოდებს „თავისუფლების მებრძოლთ“.

კაპიტოლიუმის ბორცვზე ძლიერდება წინააღმდეგობა ნიკარაგუის მიმართ თეთრი სახლის აგრესიული პოლიტიკისადმი. ეს უნებლიეთ აღიარა თვით პრეზიდენტმაც, რომელმაც განაცხადა, რომ „სულ უფრო მეტად უძნელდება კონგრესთან ბრძოლა“. როგორც ცნობილია, ეს „ბრძოლა“ წარმოადგენს კანონმდებელთა აშკარა ძალადატანებას და პირდაპირ შანტაჟს. შეხვედრების დროს, რომლებსაც ამ დღეებში ზედიზედ აწყობენ რეიგანი და მისი ადმინისტრაციის დიდი თანამდებობის წევრები, კონგრესმენებს მარტოოდენ ცენტრალური ამერიკისათვის ვითომდა შექმნილი „გაწთლების საფრთხით“ როდი აშინებენ. მათ საკმაოდ ნათლად აგრძნობინებენ, რომ კონტრასთა დახმარების მოთხოვნის უარყოფას ადმინისტრაცია მიიჩნევს „ამერიკის ეროვნული ინტერესების ღალატის“ აქტად.

განმარტავენ რა რეიგანის გამოსვლას, აქ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფაქტობრივად აღიარა, რომ „ადმინისტრაციის წარმომადგენლები“ სისტემატურად ჩადიან კონტრასთა დისლოცირების რაიონებში, რათა ადგილზე წარმართონ ტერორისტების საქმიანობა. მაგალითად, როგორც პრეზიდენტის გამონათქვამებიდან ირკვევა, ერთ-ერთი ამასწინანდელი „სტუმრობის“ დროს ადმინისტრაციის მავანი წარმომადგენელი ფაქტობრივად მოუწოდებდა კონტრასებს მოაწყონ ელსალვადორისა და სხვა ობიექტების აფეთქებანი ნიკარაგუაში, რათა, როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, „მეტი პრობლემები გუჩინონ სანდინისტურ მთავრობას“. ამით რეიგანმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მის ადმინისტრაციას სახელმწიფო პოლიტიკად აქვს გამოცხადებული საერთაშორისო ყაჩაღობა და ტერორიზმი.

ნიუ-იორკი. „პრეზიდენტი რეიგანი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი შულცი კონგრესს სთხოვენ ირწმუნოს, რომ ნიკარაგუაში დემოკრატიის დამყარების ერთადერთი შესაძლებლობაა კონტრასების გარედან დახმარება. მათი დასკვნა მოკლებულია აზრს როგორც მორალის, ისე პოლიტიკისა და ისტორიის თვალსაზრისით“, — აღნიშნავს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

მოკლედ

● პარიზი. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სახმელეთო ჯარების ქვეგანაყოფებმა ამ კვირაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს ჩადში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებაში, სადაც გამოდიოდნენ ნკამენას რეჟიმის მხარეზე ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის ძალების წინააღმდეგ. ეს განაცხადა აქ ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტთან საუბრისას გარდამავალი მთავრობის წარმომადგენელმა აბდერაჰმან მუსამ.

● ბოკიო. სეულის სასამართლომ შვიდი წლის კატორღა მიუსაჯა სამხრეთ კორეაში სტაჟირებისათვის მყოფ იაპონელ სტუდენტ-ისტორიკოს იუტაკა ინაბას მხოლოდ იმისთვის, რომ იგი აგროვებდა ფურცლებსა და სხვა მასალებს პრომარიკული დიქტატურის წინააღმდეგ ახალგაზრდული მოძრაობის შესახებ. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა იგი დაეპატიმრებინათ „კომუნისტური ჯაშუშობის“ აბსურდული ბრალდებით „ეროვნული უშიშროების“ შესახებ რეპრესიული კანონის საფუძველზე.

**● ჰავანა. იამაიკიდან მიღებული ცნობის თანახმად, ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს დედაქალაქ კინგსტონში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია ხელისუფალთა ანტი

საკავშირო რეიდი დევიზით: ეფექტიანი შრომისა და ჯანსალი ყოფისათვის

ა რ ა ყ ი ლიმონათის მარკით

რაიონში ხმა გავარდა, ახალგაზრდა კაცი მოკლესო.

— რატომ, რისთვის? — კითხულობდა ხალხი.

— არაფრისთვის, უდანაშაულოდ!

არაფრის გამო არაფერი არ ხდება. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი და შედეგი. მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში, მიხეილ ყარაბუღაშვილის ოჯახში ქორწილი ორდღიან ღრეობად გადაიქცა, და, აბა, შედეგიც!

იმ ღამეს ახალგაზრდები ჭიქას ჭიქას უკახუნებდნენ, ყანწს ყანწზე ახლიდნენ, დილის საარზე კი არყით ჩაიწმინდეს ყელი. ღვინო, არაყი, უძღლობა ერთმანეთში აირია, გამთენიამდე უგონოდ სვეს. ახალგაზრდა მძღოლი პაატა ქადაგიშვილი ხომ მთლად გადაირია. ხან ვის შემოაფლითა ტანსაცმელი, ხან ვის. ამაოდ ამშვიდებდნენ კარის მეზობელი გია ჯოხარიძე, სხვანი... მაგრამ, როცა პაატამ იქვე თავის სახლიდან თოფი გამოიტანა და ხანჯალი იშიშვლა, „სხვანი“ განზე გადგნენ. სული ტკბილიაო, და სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ჯ. სესიტაშვილმაც თავს უშველა. ბახუსისგან გაცოფებულ ქადაგიშვილს გამშველებელი გია ჯოხარიძელა შერჩა ხელში. ჰოდა, გამიშვლებული ხანჯალიც მას შეაგება. ოცდაბუთი წლის ახალგაზრდა ვაჟკაცი მიწაზე გაიშხლართა, სამუდამოდ აიცოცხლეს გამოესალმა.

...ეგე შენი სოფელი, ეგე შენი ხალხი, ერთი კაცი ვერ გათოკეს, ვერ დაიმორჩილეს.

სოფელი დიდია, იქ საბჭოა, დეპუტატია, ოჯახია, ახლობლები და მეგობრები არიან, მაგრამ რა. მოდით, ამჯერად ყველაფერს თავი დავანებოთ. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. გავასამართლოთ ღვინო, არაყი, კონიაკი. ეს აკისმკმნელები, ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს გამოშწვეავდ რომ შემოგვაქერიან აქაური მაღაზიის, სასადილოს, რესტორნის ბუფეტების ვიტრინებიდან, მე შენ გეტყვი, წყენად მიიღებენ რამეს, ენას შემოგბრუნებენ, თუ...

აქაო და, გვიკრძალავენო, თუ რმე მაგათაც ქურქი შეუცვლიან, ლიმონათის ბოთლებში ჩასახლებულან. ლიმონათსაც, ღვინოსაც, კონიაკსაც ხომ ერთი ფერი აქვს, არაყი კი ბორჯომის წყალივითაა, მიდი და ყველა შეამოწმე, ყველას გემო გაუსინჯე!

როცა სიღნაღის რაიონში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების მდგომარეობას გავეცანით, ვიფიქრეთ — ამდენი თქმა, რჩევა, დარიგება გონზე მოიყვანდა ყველას, მით უმეტეს იმათ, ვისაც ეს უპირველესად ეხება — სპირტიანი სასმელების გამსაღებლებსაც და მომხმარებლებსაც. მაგრამ არა, შეაყარე კედელს ცერცავი...

ნაწილი მათგანი შეინიღბა, არათუ არ შეზღუდა და აკრძალა, არამედ შეცვალა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობისა და სმის მეთოდი. შეეკითხები და გაასაუბრებს ხელებს — მე არ დამინახავს, მე ეს არ ვიცოდიო.

ჯანმრთელი, ფხიზელი ცხოვრებისათვის ბრძოლა ამქამად, ისე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, სიღნაღის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ნამდვილ საბრძოლო ამოცანად გაიხადეს, ხელმძღვანელ ორგანოებში, შრომელთა კოლექტივებში შემოშავებულია კოორდინაციონ. სამოქმედო გეგმები, ამართება ლექციები, საუბრები, ეწყობა რეიდები. წინა პერიოდთან შედარებით ერთიორად შემცირდა სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რაოდენობა, შემოწმდა თითქმის ყველა მათგანი.

ძოსახლეობაში ეწყობა კინოფილძების ჩვენება — „ზედმეტი ჭიქა“, „ალკოჰოლი გონების მტერია“, „დროა გონს მოვიდეთ“ და სხვა. მაგრამ, ზოგიერთი მაინც ვერ მოვიდა გონს. სხვადასხვა დარღვევისათვის პარტიული სასჯელი დაედო 14 კომუნისტს, ერთი მათგანი გაირიცხა, ასეთივე ბედი ეწია ორ ახალგაზრდა კომკავშვილს.

რაიონის ადმინისტრაციულ მაორგანოებმა ძოსახლეობას ჩამოართვეს 35 არყის შინსახდელი მოწყობილობა, პასუხისგებაში მიეცნენ ზ. ლოლაშვილი, ი. ღვედაშვილი, ზ. ვარდიაშვილი, სხვები.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“, რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქციების, სიფხიზლისათვის ბრძოლის რაიონული ოთხ მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით სპირტიანი სასმელების გამოყენება უნდა შეიცვალოს სასარგებლო ხილეკენკროვანთა წვენებით, უნდა გაიზარდოს მათი წარმოება, მოხმარება.

შემოწმების დღეებში, 'მაღაზიის ვიტრინებსა და საჯაგების ბუფეტებში წინა პლანზე უფრო მეტად სპირტიანი სასმელები იყო, ვიდრე წვენები. ასე იყო მაგალითად, ქ. წნორის სასურსათო მაღაზიაში (გამყიდველი მ. ჯოხარიძე), სოფლების ხეკრინის, მაღაროს, ბოდბის, ულიანოვკის სასურსათო მაღაზიებში (გამყიდველები მ. შაიშმელაშვილი, ნ. მანგოშვილი, შ. ბახუტაშვილი, ნ. ბენაშვილი).

უალკოჰოლო სასმელებით მოვაჭრე სოფელ ზემო მაღაროს მაღაზიაში (გამყიდველი თ. გულიაშვილი) აღმოჩნდა სპირტიანი სასმელები „ჰავანა-კლუბი“, „პელინოვი“ და სხვ. სულ 170 მანეთის ღირებულებისა.

ახლა ვილაპარაკოთ მომხმარებელზე, იმათზე, ვინც მომბაზრებლად აწუხებენ გამყიდველებს, საზოგადოებრივი კვების ნებაყოფლობითი საზოგადოების მიერ მოწყობილმა ერთობლივმა რეიდმა დაგვარწმუნა, რომ ამ მხრივ რაიონში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის, გაკეთებულზე უფრო მეტი გასაკეთებელია.

როგორც რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ გვაცნობა, რაიონში აღრიცხულია 212 ალკოჰოლისტი, მათგან მხოლოდ სამი გაგზავნილი სამკურნალოდ. მიუხედავად ერთგვარი შემცირებისა, უკანასკნელ ხანს გამოვლინდა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის 416 შემთხვევა; მართვის უფლება ჩამოერთვა 366 მძღოლს, მათ შორის 24-ს — განმეორებით.

გამოვლინება კარგია, ფაქტები — საშალალო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულ ი ა, მუშაკებს, ცდილობენ მუქარით და სხვა ძალდატანებით მოიპოვონ სპირტიანი სასმელები კანონით აკრძალულ საათებში. ქ. წნორის სავაჭრო ცენტრის გასტრონომის სექციაში (გამგე გ. ჭაბაშვილი) ყველასათვის თვალსაჩინოდ არის გამოკრული ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ საათებში იყიდება სპირტიანი სასმელები. მომხმარებელი ს. ხაჩატუროვი ჯიუტად მოითხოვდა სპირტიან სასმელს. მხოლოდ მილიციის საშუალებით მოხერხდა მაღაზიიდან მისი გაყვანა.

იქვე, ქ. წნორში, სამწვადეში სამუშაო საათებში ლიმონათის ბოთლებში ჩასხმული არყით არხეინად ღრეობდნენ ვაქირელი ვ. ყოზაკიშვილი, ახაგელი ც. სიყვაშვილი, კარდანახელი ზ. ინანიშვილი. ეს უკანასკნელი, როგორც გვითხრეს, კარდანახის საბჭოთა მეურნეობის მუშაკი, სამწვადის მუდმივი კლიენტი ყოფილა.

„მე ვარ და ჩემი ნაბადიო“... დილის 11 საათსა და 45 წუთზე მღერიდნენ ბახუსით შეხურებული ახალგაზრდები, „ღორწყალმშენის“ ტრესტის და წნორის მეხორცული მეძროხეობის კომპლექსის მუშაკები, მათ გვერდით ავტოტექმომსახურების რემონტიორი გ. ჯოხარიძე, მისი შეგირდი 15 წლის ახალგაზრდა და სხვანი. აქაც ახალი მეთოდი — არაყი ლიმონათის ბოთლებში!

რას გვეტყვიან სასადილოს გამგე ბ. ჩალაბაშვილი, მზარეული მ. მოსაშვილი?

იციან, რაც უნდა გვითხრან.

— არაყი თვითონ შემოიტანეს, ჩვენი მხოლოდ ბოთლებიაო; ესე იგი, თუ თოფი შენია და ვაზნა სხვისი, მკვლელობისთვის თურმე პასუხს არ აგებ!

ქ. წნორში, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშათა სასადილოს ბუფეტში (გამგე-გამყიდველი ი. თამბაზაშვილი) საცოდავად გამოიყურებოდნენ ვაშლისა და ატმის წვენები, მინერალური წყლები. წყლის გრაფინებში ლალისფერი ღვინო. ბრწყინავდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელო სცვლიდა.

ამ ყველაფრის მნახველსა და გამგონეს გვებადება აზრი, ნუთუ კიდევ დიდხანს უნდა დაგვჭირდეს ლაპარაკი იმაზე, რომ ალკოჰოლი ადამიანის მტერია. ამაოდ ოხრავენ ბახუსის მოყვარულნი — რა დრო დადგა!

— დრო დადგა ბრწყინვალე! ეს დრო, დრო ჯანმრთელი, ფხიზელი ცხოვრებისა, როგორც სკკპ XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა, სამარადჟამოდ უნდა გაგრძელდეს.

რეიდის მონაწილენი: ო. ბანჯაშარაშვილი — სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ოქრუაშვილი — ამავე საბჭოს მდივანი, შ. ქაფიანიძე — რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ვლ. მჟედლიშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

სიხარულის ოთტანი ხელოვნება

ᲔᲚ ᲣᲙᲕᲔ კვითელ ტრადიციად იქცა: მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის დიპლომახტი — ებრაული კამერული მუსიკალური თეატრი საქართველოში გასტროლებს იწყებს ყველაზე პოპულარული სპექტაკლით და ამთავრებს — პრემიერით.

ასეა ამჯერადაც, საქართველოს დედაქალაქში ებრაულმა კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა თავისი რიგით მეხუთე ჩამოსვლის დროს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიი ს დიდ დარბაზში უჩვენა მ. გლუზისა და ი. შერლიხგის მიუზიკლი „ლომირ ალე ინეინემი“ — „მოდით, ყველამ ერთად“, გასტროლების ბოლოს კი თბილისელთა სამსჯავროზე წარმოადგენს გ. საბგირისა და ა. ბასილოვას ახალ სპექტაკლს „ხელომელ ბრძენებს“ („ჭუდი როდია ბედნიერება“), რომლის მუსიკა დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა და დირიჟორმა ვლადიმერ ზასლავსკიმ.

... ახლახან დამთავრდა მხიარული, სიხარულითა და იუმორით აღსავსე, შესანიშნავი მუსიკით განმსჭვალული წარმოდგენა, და ჩვენ ვესაუბრებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ცნობილ კომპოზიტორს, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მიხეილ გლუზს.

— გაისად ჩვენს თეატრს ათი წელი შეუსრულდება, და გულწრფელად გეტყვით, რომ ბედნიერნი ვიქნებოდით, თუ ამ ღირსსახსოვარ თარიღს მშვენიერ თბილისში ვიზეიმებდით. თბილისი ხომ ის ქალაქია, რომელიც ჩვენს საგასტროლო რუკაზე აღნიშნულია როგორც

ყველაზე სასურველი. დღეისათვის კი ეს რუკა საკმაოდ ვრცელია: შეტანილია ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ათობით ქალაქი.

—ებრაული ფოლკლორი, რომელმაც შეითვისა მრავალი მხარის ჰანგები და ძველი ხალხის სიბრძნე, — უჩვეულო მოვლენაა მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში, — თქვა შემდეგ მ. გლუზმა, — ადვილად როდი დაბრუნდა სცენაზე ჭეშმარიტად ხალხური სიმღერები და ცეკვები. ვეძებდით, სადაც კი შეგვეძლო, დროისაგან გაყვითლებულ ნოტებს, ეპოულობდით ხანშიშესულ ადამიანებს, რომელთა სულში ცოცხლობდნენ ძველებური მელოდიები. მისხალ-მისხალ შევაგროვეთ რა ძველი დროის მელოდიები, არ შეგვეძლო არ ჩავფიქრებულიყავით, თუ როგორ წარმოგვედგინა იგი თანამედროვე აუდიტორიისათვის, რომელიც დღითი დღე იძირება თანამედროვე მუსიკალურ სტიქიაში.

თეატრის ეს პირველი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა ხორცშესხმულია უმეტეს ჩვენს ნამუშევრებში. მათ შორის ა. ხაიტის წარმოდგენაში „ტუმ-ბალალაიკა“, რომელიც ა.. ლევენბოუკმა დადგა, მუსიკალურ-დრამატულ კომპოზიციაში „სიცოცხლესა და სიკვდილზე მაღლა“, რომელიც შექმნილია ა. რიბაკოვის, ბ. ვასილიევის პროზის, ებრაელი საბჭოთა პოეტების ლექსების მიზედვით და ეძღვნება დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

გასტროლები ერევანში გაგრძელდება.

გ. დიორტკინი.



სურათზე: სცენა მიუზიკლიდან „მოდით, ყველამ ერთად“.

ვ. პეტროსიანის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲠᲔᲛᲘᲠᲯᲐ ᲛᲐᲮᲡᲠᲐᲫᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲐᲛ ᲝᲠᲘᲝᲜᲯᲘ წლის წინათ ერთ კეთილ საქმეს მიეცა დასაბამი: მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში გაიხსნა ცნობილი საბჭოთა რეჟისორის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის ვლადიმერ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს შემოქმედებითი სახლ-მუზეუმი, რამაც დაადასტურა ერომანეთთან რაიონის მშრომელები და სამხატვრო თეატრის კოლექტივი — ყოველწლიურად დეკემბერში ისინი გურიის მიწაზე ერთად აღნიშნავენ დიდი რეჟისორის დაბადების დღეს.

— ამჯერად მოსკოვის სამხატვრო თეატრის სადადგმო ჯგუფი

შემოქმედებითი მეგობრობით

ჩვენს სცენაზე დადგა ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“ — თქვა მახარაძის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვასილ ჩიგოგიძემ. — სპექტაკლის დადგმელია ვლადიმერ სალიუკი, კომპოზიტორი ოვით დიდი რეჟისორის შვილიშვილი, სამხატვრო თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკო, სცენოგრაფი — მოსკოვის ოპერეტის თეატრის მთავარი მხატვარი პ. კირილოვი. ახლო მომავალში გაეხსნებული გვაქვს აგრეთვე სამხატვრო თეატრის მსახიობების მოწვევა და ამ სპექტაკლის წარმოდგენა შერეული შემადგენლობით. გარდა ამისა, მას მოსკოველ მაყურებლებსაც გავაცნობთ მომავალ გასტროლებზე ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზესთან“ ერთად, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას მივუძღვნეთ.

ალ. ოსტროვსკის პიესას ქართულ სცენაზე საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია აქვს. წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა იგი და დღემდე ჩვენი თეატრების სარეპერტუარო აფიშაზეა.

— ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ მახარაძის თეატრმა სწორედ ეს დადგმა შემომთავაზა, — აღნიშნა ვლადიმერ სალიუკმა, — ვინაიდან ოსტროვსკი ჩემი საყვარელი ავტორია. ჩემი აზრით, მოუხედავად მოსკოვის მცირეთეატრისეული მდიდარი ტრადიციისა, მისი შემოქმედება ბოლომდე მაინც გაუხსნელია — ოსტროვსკი დღემდე ყოფითი პლანის დრამატურგად მიაჩნიათ, მაგრამ იგი გაცილებით მაღლა დგას ჩვეულებრივ ყოფითობაზე. ჩვენც შევეცადეთ ხაზი გავუსვა ზოგადი და ამავე დროს ძალზე მარტივი იდეისათვის, რომ ნებისმიერი ადამიანისა თუ, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრება შინაგანი იდეალის გარეშე, გაუფასურებულ არსებობას უდრის, რომ ეშმარიტ საყვარულსა და რწმენას სასწაულების მოხდენა შეუძლია. თითოეული ჩვენგანი თავის ნამდვილ როლს უნდა ეშურებოდეს ცხოვრებაში ისე, როგორც კუჩინინა ესწრაფვის მისთვის განუხორციელებელი მთავარი როლის — დედობის როლს...

საუბარი ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკომ განაგრძო:

— ნებისმიერი სიახლე ყოველთვის რაღაცას სესხულობს ტრადიციისაგან. აკი ფრანგები ამბობენ, ახალი მუდამ კარგად დაველეწული ძველიაო. ამიტომაც შევეცადეთ თანამედროვე სტილისტიკის პარალელურად შეგვეენარჩუნებინა ძველებური „სურნელიც“. სპექტაკლისათვის სპეციალურად დავწერე მუსიკა, რომელიც ცალკეული ნომრებისაგან შედგება და რომელსაც მოსკოვის სამხატვრო თეატრის ორკესტრი ასრულებს. დიდად მოხარული დავრჩებით, თუ ჩვენი ნამუშევარი დაინტერესებს და დაფიქრებს ქართველ მაყურებელს...

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები რ. ლომინაძე, ა. ანდღულაძე, გ. მდინარაძე, ა. ქადეშვილი, ზ. თოთიბაძე, ო. ურუშაძე, ს. კიკვაძე, ბ. კიკვაძე და სხვ.

მ. ᲑᲣᲖᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲠᲔᲛᲘᲠᲯᲐ ᲛᲐᲮᲡᲠᲐᲫᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

ᲘᲣᲐᲚᲗᲝᲜᲘ შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის ამასწინანდელ მორიგ მეცადინეობაზე მომხსენებელი მსმენელთა წინაშე ერთგვარი ანგარიშით წარდგნენ, ილაპარაკეს წინა ხუთწლეულში გაწეულ მუშაობაზე, სოფელ იყალთოს ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე.

თემატურ საღამოზე თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ე. მამუკელაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე „პარტიის ისტორიული დოკუმენტები — შრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების სამსახურში“.

სოფლის ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცებასა და სამომავლო ამოცანების რეალიზაციის საშუალებებზე ილაპარაკა თელავის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ გ. ახმეტელმა. ასევე სოფლის სასიკეთო ძეგებზე, სოციალურ-კულტურული ცხოვრების განვითარების საკითხებზე გაამახვილეს მსმენელთა ყურადღება იყალთოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გ. შათირიშვილმა, საქართველოს კომპარტიის XXVII და სკკპ XXVII ყრილობების დელეგატმა, მევენახე ვერიკო ბერძენიშვილმა, მევენახე ბრიგადირმა, სოციალისტიკური შრომის გმირმა ელენე კოწიწაშვილმა, იყალთოს საშუალო სკოლის დირექტორმა მ. ბერძენიშვილმა, იყალთოს კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ვ. დედაბრიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კვლავაც მეტად და მეტად უნდა ვიზრუნოთ ახალი აღმავლობისათვის.

მეცადინეობა შეაჯამა პარტიის თელავის რაიკომის მდივანმა დ. ბენდიანიშვილმა.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲡᲚᲘᲡᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ...

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ტექნიკის დანერგვა რკინიგზაზე უსაფრთხოების სრულ გარანტიას იძლევა, ავარია გამორიცხულია, თუ წესდების სრული დაცვით იმუშავებს ყველა სამსახური, — ამბობენ ვეტერანი მუშაკები და ეს ასეც არის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ავარიის მიზეზი წესდების ამა თუ იმ მუხლის შეუსრულებლობის, უპასუხისმგებლობის და უგულისყურობის შედეგია.

სწორედ ასეთი საფუძველი აქვს ავარიას, რომელზეც უნდა მოგითხროთ. 1984 წლის 1 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის „მახარისხებელი“ სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანემ ზურაბ ჰაქსაშვილმა მემანქანის თანაშემწემ ალბერტ ბარსეგიანმა, თბილისის განყოფილების მატარებლის დისპეტჩერმა გურამ მოდებაძემ და ლოკომოტივის დისპეტჩერმა ვალიკო ბებიღლურმა დაარღვიეს უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესი და ავარია მოახდინეს. მემანქანე ჰაქსაშვილს და მის თანაშემწეს ბარსეგიანს პირველ ივლისს 01.00 საათზე დაუმთავრდათ 9-საათიანი სამუშაო დრო და არ ჰქონდათ უფლება სანგანგებო წერილობითი ნებართვის გარეშე განეგრძოთ გზა. მემანქანეს მეტეხის სადგურიდან აცნობა მატარებლის დისპეტჩერ გ. მოდებაძეს, რომ დაუმთავრდათ სამუშაო საათები და სთხოვა ბრიგადა შეეცვალა ახლით, მაგრამ არც მატარებლისა და არც ლოკომოტივის დისპეტჩერებმა, რომლებსაც კარგად მოეხსენებოდათ გრაფიკი, არავითარი ზომები არ მიიღეს ბრიგადის შესაცვლელად, და ამიტომ იყო, რომ მოდებაძემ დაავალა ჰაქსაშვილს ელმავალი ხაშურში აეყვანა, ცვლას კი იქ დაახვედრებდა, ჰაქსაშვილს დაღლილობის გამო გზაში ჩაეძინა, ვერ შენიშნა წითელი შუქნიშანი და გზა განაგრძო, შევიდა პირველ ლიანდაგზე და იქ



ᲣᲨᲕᲔᲑᲡ „ᲘᲠᲘᲡᲗᲝᲜᲘ“

სამ ენაზე — ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე უშვებს დამხმარე სახელმძღვანელოებს, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონი“.

წიგნები იბეჭდება ავტონომიური ოლქის პოლიგრაფიულ გაერთიანებაში, სადაც ამ ბოლო წლებში ფართოდ ინერგება საბჭოური და საზღვარგარეთული წარმოების უახლესი ტექნიკა.

სურათზე: ერთ-ერთი ავტომატური ხაზი.

ლ. ᲒᲣᲡᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲧᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲨᲘᲜᲝᲕᲘᲓᲐᲜ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲜᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ მოლდაველ პოეტ ქალთან აგნესა როშკასთან მის მიერ საქართველოზე დაწერილი ლექსების ციკლმა დამამეგობრა. ეს ამ ოცდაოდ წლის წინათ იყო. ყაზანში, მუსა ჯალილის დაბადების სამოცი წლისთავის იუბილეზე გაცნობილმა პოეტმა იმ ლექსების აწკარდები გამომიგზავნა კაშინოვიდან. საყვარელით ვთარგმნე მისი გული ჩამწვდომი, წრფელი სტრიქონები. თურმე აგნესა როშკა იმ ლექსების წერის დროსვე შესდგომოდა ქართული პოეზიის ნიმუშების ამეტყველებას მშობლიურ ენაზე. და აი, 1971 წელს თბილისში თავისი მორიგი სტუმრობისას თან ჩამოიყოლა გამომცემლობა „კარტა მოლდოვენიასკის“ მიერ გამოშვებული კრებული „ქართული ლირიკიდან“. წიგნი აგნესა როშკას წინასიტყვაობითვე იხსენებოდა. მასში დაბეჭდილია თვრამეტი ქართველი პოეტის ლექსი, რომლებიც აგნესა როშკამ და მისმა მეუღლემ — პოეტმა ვლადიმერ რუსნაკამ თარგმნეს.

ამ დღეებში კი ფოსტამ ერთდროულად მომიტანა ჩემი მოლდაველი მეგობრების წერილი. და ბანდეროლი. ბანდეროლში იდო მოლდავეთის გამომცემლობა „ლიტერატურა არტისტიკას“ მიერ გამოშვებული კრებული „პოეზიგრუნინ“ — „საქართველოს პოეტები“. აგნესა როშკას მიერ შედგენილ და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ანთოლოგიაში შესულია ორმოცი ქართველი პოეტის — ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, გივი ალხაზიშვილის, ხუტა ბერულავას, ვიქტორ გაბესკირიის, ხუტა გაგუას, გივი გეგეჭკორის, მირზა გელოვანის, იოსებ გრიშაშვილის, ნოდარ გურეშიძის, ვახტანგ ჯავახიძის, ანა კალანდაძის, გენო კალანდიას, მედეა კახიძის, მიხეილ ქვლივიძის, მურმან ლებანიძის, გიორგი ლეონიძის, ზურაბ ლორთქიფანიძის, რევაზ მარგიანის, მუხრან მაჭავარიანის, ალიო მირცხულავას, მაყვალა მრეველიშვილის, კოლუ ნადირაძის, ეზეერ ნიკურაძის, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ნონეშვილის, მორის ფოცხიშვილის, ლადო სულაბერიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ფრიდონ ხალვაშის, ჯანსულ ჩარკვიანის, ტარიელ ჯინტერაძის, ოთარ ჭელიძის, სიმონ ჩიქოვანის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, პაოლო იაშვილის და ა.შ ტრიქონების ავტორის ლექსები. ანთოლოგია იხსნება ა. როშკას შესავალი წერილით და ერთვის მის მიერვე შედგენილი ბიოგრაფიული ცნობები წიგნში შესულ პოეტებზე.

„ამ წიგნში, — წერს აგნესა როშკა, — წარმოდგენილია ჩემი და ვლადიმერ რუსნაკის ახალი თარგმანებიც. აქვეა ჩვენი ნიგნიერი ახალგაზრდა პოეტების — ვასილე რომანჩუკის, ანატოლი ჩაკანუს, პავლე დარიეს და იონ ხოდორკეს მიერ თარგმნილი ლექსები. ახლა ჩვენში ბევრია დაინტერესებული ქართული პოეზიით. ამ წიგნის ერთ-ერთმა მთარგმნელმა ვ. რომანჩუკმა უკვე დაამთავრა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ თარგმნა და ალბათ მალე რომელმე ჩვენი გამომცემლობის გეგმაში შეიტანენ. „ქართველი პოეტები“ წარმოდგენილია ჩვენი პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობისადმი მიძღვნილი „ვარდფენაზე“.

როცა კიშინოვში „ქართველი პოეტები“ იბეჭდებოდა, თბილისში გამოვიდა პოეტ გივი ალხაზიშვილის მიერ თარგმნილი „თანამედროვე მოლდავური პოეზიის ფურცლები“.

ჩვენი ხალხების სულიერი ნათესაობის შედეგებებს პოეტური სიტყვაც ემსახურება!

თ. ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐ „ხელოვნებამ“ გამოსცა მუსიკათმცოდნე ირინე სარუხანოვას წიგნი „დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ცხოვრება“ (XIX საუკუნის II ნახევარი — XX საუკუნის დასაწყისი). წიგნის ავტორი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. სარუხანოვა ქუთაისელია, უმაღლესი განათლება ლენინგრადის კონსერვატორიაში მიიღო სსრ კავშირის ხალხთა მუსიკის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის პროფესორ ს. გინზბურგის ხელმძღვანელობით. იმეამად მუშაობს ხარკოვის ხელოვნების ინსტიტუტში.

როგორც ბოლოსიტყვაობაში წერს ავტორი, მისი მიზანი იყო წარმოეჩინა დასავლეთ საქართველოს ქალაქების მუსიკალური ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მოეწყოდებინა ცნობები იმ თავდადებულ მუსიკოს-განმანათლებლებზე, რომელთა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ეროვნული კულტურის ძმლავრ აღმავლობას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

უნდა ითქვას, რომ ი. სარუხანოვამ ფრიად აქტუალური ამოცანა დაისახა მიზნად, რადგან ჩვენი სამუსიკათმცოდნეო ლიტერატურა ფრიად ღარიბია ასეთი ტიპის ნაშრომებით, გამოსაკლისია განსაკუთრებული არილ მშვილიძის ცნობილი წიგნი „სამუსიკო განათლება საქართველოში“, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს წიგნი ეხება მხოლოდ სამუსიკო განათლების ისტორიას და, მეორე, ის, რომ იქ კვლევის საგანს, არსებითად, თბილისის მუსიკალური ცხოვრება წარმოადგენს.

ი. სარუხანოვას ნაშრომიდან ნათელი ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო საუკუნეთა შესაყარზე დასავლეთ საქართველოს ისეთი ცენტრების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, როგორიც არის ბათუმი, სოხუმი, ფოთი და, განსაკუთრებით ქუთაისი. რომ აღარაფერი ვთქვათ მწერლებისა და პოეტების მთელ პლეადებზე, აქედან გავიდნენ დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე. დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი იყვნენ ქართული მუსიკის ცნობილი მოღვაწეები ფ. ქორიძე, მ. და ნ. შარაბიძეები, ა. ბენაშვილი, კ. მაღრაძე, კ. ფოცხვერაშვილი.

ავტორის დიდი და შრომატევადი მუშაობა გაუწევია სხვადასხვა ადგილას გფაფტული, ხშირად უცნობი წყაროების გამოსაბმელად და შესასწავლად, გულდასმით დაუმუშავებია მთელი იმდროინდელი პრესა, შეუსწავლია არქივები (მათ შორის საქართველოს გარეთ მდებარე ქალაქებში), მოუკვლეია მთელი რიგი დღემდე უცნობი ფრიად საინტერესო მასალებისათვის. ბევრი რამ ჩაწერილია ცნობილ მუსიკოსებთან ავტორის პირადი საუბრის დროს. ნაშრომის დიდი ღირსებაა მისი მეცნიერული აპარატის სიზუსტე. ეს არის ნამდვილად სანდო, პუნქტუალურად შესრულებული ცნობარი, ამ სიტყვის ფართ